საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 18 ოქტომბერი. 2019 წ. №207 (8873) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

აშშ რეგიონს ტოვებს, ტრამპი ერდოღანს სულელად მოიხსენიებს...

თურქებმა ტრამპის წერილი სანაგვეზე მოისროლეს

მერკელი ერდოღანს აფრთხილებს

გაეროს პროგრამების განხორციელება აუცილებლად გაგვაძლიერებს!

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გაეროს კვირეულთან დაკავშირებით საქართველოში გაეროს წარმომადგენლობას შეხვდა. შეხვედრაზე, რომელსაც გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში საბინე მახლი და გაეროს რეზიდენტი სააგენტოების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლობის მნიშვნელობისა და ქვეყნის განვითარების საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შეტანილი წვლილის შესახებ ისაუბრა.

მხარეებმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების გზები განიხილეს და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა გაეროს წარმომადგენლობას საქართველოში იმ მრავალფეროვანი პროგრამებისათვის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ხორციელდებოდა და ხელს უწყობდა როგორც რეგიონული განვითარების, ასევე უნივერსალური ჯანდაცვის, თანაბარი შესაძლებლობებისა და სამართლიანობის მიმართულებების განვითარების კუთხით.

საქართველოს პრეზიდენტმა შეხვედრისას ისაუბრა ასევე, ისეთ გლობალურ გამოწვევაზე, როგორიცაა კლიმატური ცვლილებები და აღნიშნა, რომ საჭიროა, ამ მიმართულებით საქართველო მსოფლიო საზოგადოების პარტნიორი და კონტრიბუტორი გახდეს.

გიორგი გახარია:

დამწვარი სკოლა-პანსიონის ნაცვლად ახალი სკოლა აშენდება

„შატილში დამწვარი სკოლა-პანსიონის ნაცვლად ახალი სკოლა აშენდება. პროექტს მთის განვითარების ფონდი დააფინანსებს. სამშენებლო სამუშაოები, კლიმატური პირობების შესაბამისად, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში დაიწყება, რის შემდეგაც შატილს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სკოლა ექნება. სკოლის აშენებამდე მოსწავლეების სასწავლო პროცესი არ შეფერხდება, ისინი სწავლას დროებით ალტერნატიულ შენობაში განაგრძობენ“, — აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას განცხადებას ავრცელებს.

დუშეთის მუნიციპალიტეტში, შატილში საჯარო სკოლა გუშინ დაიწვა.

მარტვილის კანიონი - ევროპაში პირველი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ განხორციელებული მარტვილის კანიონის განვითარების პროექტი, ევროპის საბჭოს ევროპის ლანდშაფტების კონვენციის ფარგლებში ჩატარებული კონკურსის გამარჯვებული გახდა.

დაჯილდოების ცერემონია 2020 წელს „ევროპის საბჭოს ლანდშაფტების ფორუმის“ ფარგლებში გაიმართება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, პრიზის მოსაპოვებლად წარდგენილი იყო ევროსაბჭოს 47 წევრი ქვეყნის არაერთი პროექტი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ლანდშაფტების აღდგენაში და შექმნეს მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ხდებოდეს მსოფლიოში ლანდშაფტების აღდგენა, მართვა და მართვის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

გამარჯვების შესახებ ოფიციალური უწყება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ევროპის ლანდშაფტების კონვენციის აღმასრულებელი მდივნისგან მაგელონდეუან-პონისგან მიიღო.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული პოლიტიკის შესაბამისად, ხორციელდება დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული განვითარება. ჩვენი კონცეფცია ვრცელდება ყველა დაცულ ტერიტორიაზე და მათი განვითარების დაგეგმვისას ვითვალისწინებთ სამ ძირითად ფაქტორს: პირველ რიგში, ინფრასტრუქტურული პროექტები საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს და უნდა იცავდეს უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას. მეორე — მას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო ფუნქცია; ვიზიტორთა ცენტრები სწორედ ამ მიზნით ეწყობა და მესამე, უმნიშვნელოვანესია რეგიონებში დაცული ტერიტორიების განვითარებით ხელი შევუწყოთ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის გაუმჯობესებას, ადგილობრივი ეკოტურისტული ბიზნესის განვითარებასა და სოფლის მეურნეობის გაძლიერებას“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

კონკურსი 11 წელია რაც ტარდება და მასში ისეთი ქვეყნების პროექტები იმარჯვებენ, როგორებიცაა: საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი და ა.შ.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ომი აღარასოდეს იყოს!

დიდი პატივია, ვხედავდე აქ, ამ ქვეყნის ისტორიისთვის მართლაც სასიქადულო და საამაყო სახეებს, ადამიანებს, რომლებიც ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს ისტორიას ქმნიდნენ, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ვეტერანებს.

— მეხუთე წელია, რაც ჩვენ ამ დღეს აღვნიშნავთ. რა თქმა უნდა, ბევრია კიდევ გასაკეთებელი, მაგრამ სანამ კონკრეტულ პრობლემებზე, საქმეზე ვისაუბრებდეთ, მწუხარება უნდა გამოვთქვათ იმ გმირების მიმართ, რომლებიც დღეს ჩვენთან ერთად არ არიან. აბსოლუტურად სრული გულწრფელობით გეუბნებით, რომ თითოეულ ჩვენგანს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ქმნიდნენ ამ ქვეყნის ისტორიას და რომელთა ხსოვნაზეც ჩვენმა მომავალმა თაობებმა უნდა განაგრძონ ქვეყნის შენება. არაფერი გამოგვივა, თუ დავივიწყებთ, საიდან ვართ, რა ტრადიციებიდან მოვდივართ და რა არის ჩვენი კულტურული იდენტობა. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ კეთდება, ყველას კარგად გვესმის, რომ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ სამწუხაროდ, საკმაოდ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ვართ და სიმართლე უნდა ვუთხრათ ერთმანეთს — ღარიბ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეს მიზანი არ უნდა დავისახოთ და მე გპირდებით, რომ ჩვენ ამ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. ჩვენ დღეს აქ შევიკრიბეთ იმ ბიჭების ხსოვნის წინაშე პატივისცემით, რომლებიც დღეს ჩვენთან აქ არ არიან. დღეს მე აქ ვხედავ ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის საამაყო, ღირსეულ სახეებს და ერთადერთი, რასაც უნდა დავპირდეთ ერთმანეთს — ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ომი აღარასოდეს იყოს, რომ ჩვენ შრომით შევძლოთ ქვეყნის წინსვლა, გაერთიანება და გამთლიანება. ეს უნდა იყოს ჩვენი ძირითადი მიზანი, ეს უნდა იყოს თითოეული ქართველის მიზანი...

ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრას პრემიერ-მინისტრთან ერთად თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და თბილისის მერი კახა კალაძეც ესწრებოდნენ.

სახელმწიფო იმით ფასდება, საკუთარ ჯარს თუ როგორ უვლის!

საქართველოს პრეზიდენტი ომის ვეტერანებს ვეტერანთა დღეს ულოცავს.

როგორც სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს, სახელმწიფოს მიერ ჯარის მიმართ დამოკიდებულება აისახება პირველ რიგში, ვეტერანებისთვის შექმნილ პირობებში.

„სახელმწიფო იმით ფასდება, საკუთარ ჯარს როგორ უვლის და პატივს სცემს. ჯარის მიმართ დამოკიდებულება კი აისახება პირველ რიგში ვეტერანთათვის სახელმწიფოს მიერ შექმნილ პირობებში, საზოგადოებისგან მათ დაფასებაში. გილოცავთ ვეტერანთა დღეს“, — წერს სალომე ზურაბიშვილი.

საქართველოში ვეტერანის დღე 2014 წლიდან აღინიშნება. 1995 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“, რაც შემდგომში ვეტერანის დღის დაწესების საფუძველი გახდა.

ნინო ბურჯანაძე: რუსეთის ხელმძღვანელობა საქართველოსთან ფრენების აღსადგენად მზად არის!

— ამის შესახებ „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სოციალურ ქსელში წერს, რომლითაც მოსკოვში ვიზიტს აჯამებს.

ბურჯანაძემ გასული კვირის განმავლობაში მოსკოვში შეხვედრები გამართა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ბურჯანაძის ინფორმაციით, ფრენების აღდგენის სანაცვლოდ, რუსეთი საქართველოს ხელისუფლებისგან არანაირ დათმობას არ ითხოვს.

„მერწმუნეთ, პატივცემულო ხელისუფლებავ, გარდა რადიკალური ოპოზიციისა, ვერავინ დაგძრახავთ ფრენების აღდგენისთვის გადადგმული ნაბიჯის გამო. არც არავინ თქვენგან მოსკოვში არანაირ დათმობას ამისთვის არ ითხოვს! ითხოვენ ნორმალურ, სიტუაციის ადეკვატურ განცხადებას და საქართველოს მხრიდან დაინტერესების გამოხატვას! გადადგით ეს ნაბიჯი! ეს სჭირდება ხალხს და ქართულ ეკონომიკას! საფუძველი მომზადებულია: ახლა თქვენი ერთი ნაბიჯი საკმარისი იქნება ამ საკითხის უსწრაფესად მოსაგვარებლად!“, — აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“

22-23 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას პატრონაჟით „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ ჩატარდება. ფორუმი წარმოადგენს მაღალი დონის დიალოგს მთავრობებსა და ბიზნესებს შორის. ასევე საუკეთესო პლატფორმაა სახელმწიფოს, ორგანიზაციებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრებისთვის.

ფორუმი მიზნად ისახავს, შექმნას და დაამკვიდროს სადისკუსიო პლატფორმა, სადაც აბრეშუმის გზის ინიციატივის ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები განიხილავენ თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებსა და კავშირებს საერთაშორისო და რეგიონული ვაჭრობის სფეროში.

მიმდინარე წელს „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს“ 60-ზე მეტი ქვეყნის 2000-ზე მეტი დელეგატი, მათ შორის 30-ზე მეტი ოფიციალური დელეგაციისა და 400-მდე უცხოური კერძო სექტორის წარმომადგენელი დაესწრება.

სუს-ის ხელმძღვანელად გრიგოლ ლილუაშვილი დაინიშნა

პარლამენტმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი დაამტკიცა. გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვის გარეშე უყარეს კენჭი. კენჭისყრა ფარული იყო. სუსის ხელმძღვანელად გრიგოლ ლილუაშვილს მხარი 85-მა დეპუტატმა დაუჭირა, რვა კი წინააღმდეგი იყო. პარლამენტმა გრიგოლ ლილუაშვილი თანამდებობაზე ექვსი წლის ვადით დაამტკიცა.

დავით ზალკალიანი: ლავროვთან შეხვედრა იყო დროული, აუცილებელი და საჭირო

ნიუ იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი და ფაქტორი იყო უკანონო ბორდერიზაციის მძიმე ტალღა, რომელიც განხორციელდა ბოლო სამი თვის განმავლობაში, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა პარლამენტში განაცხადა, სადაც მას „მინისტრის საათის“ ფორმატში უსმენენ.

„ეს პროცესი დაიწყო აგვისტოს დასაწყისში და განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობდა როგორც გუგუტიანთკარში, ისე სოფელ ჩორჩანასა და სხვა მიმდებარე ტერიტორიებზე. აქედან გამომდინარე, მინდა, ძალიან მკაფიოდ განვაცხადო, როგორც მაშინ, ისე დღესაც, ვიყავი და ვარ დარწმუნებული, რომ ეს შეხვედრა იყო დროული, აუცილებელი და საჭირო“, — აღნიშნა ზალკალიანმა.

ამასთან, როგორც მინისტრმა განაცხადა, არ დარჩენილა არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და ძირითადი აქტორი, რომელსაც მკაფიო, მძაფრი შეფასება არ მიეცა უკანონო ბორდერიზაციისთვის.

დავით ზალკალიანის თქმით, ნიუ იორკში ყველა ორმხრივ შეხვედრაზე, მათ შორის შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე გამოითქვა ინიციატივა, რომ გაეროში, სადაც ყველა ყველას ესაუბრება, შემდგარიყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრა.

მოლოდინი

გოციკა კუპონიანისა, აფრასიძეთა სისხლიან გვამეგთან კუგდარის მღეჯველისა და ხუშტურიანი ხოშტარიასი

აღტაცების კანკალი გაქვთ,
მოლოდინი გაგიმართლდათ, და რომ,
პასუხსა სთხოვთ ზალკალიანს,
გაეროში რადგან შეხვდა ლავროვს!

არ მოვიხმოთ ახლაც გონი,
პარლამენტის მომთხვრელებო წუნწუხით და ლამით?!
ბუტე-ბუტეს რომ სთავაზობთ რუს ხალხს,
წართმეული აფხაზეთი, ცხინვალი და ახალგორი
დაგვიბრუნეთ ამით?

ალექსანდრე შენგელია

ნათია თურნავა:
ვერანაირი შავი პიარი და შანტაჟი ვერ გადაგვახვევინებს პრინციპებიდან

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა მის გადადგომასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას ორკესტრირებული შავი პიარის ნიმუშს უწოდებს.

მან მედიის წარმომადგენლებს მოუწოდა, მსგავსი ტიპის ინფორმაციის გავრცელებამდე რესპონდენტების სანდოობა გადაამოწმონ.

მინისტრის შეფასებით, ეკონომიკის სამინისტრო საკმაოდ ბევრ რეფორმას ახორციელებს, რაც გარკვეულ ჯგუფებს არ მოსწონთ.

„ვრცელდებოდა სრულიად ცრუ, გადაუმოწმებელი ინფორმაცია. მე ამას ასე ვხსნი – ჩვენ, ჩვენი მთავრობა, ეკონომიკური გუნდი, ჩვენი სამინისტრო ახორციელებს ძალიან ბევრ რეფორმას. ეს რეფორმები საბოლოო ჯამში, იწვევს მეტ კონკურენციას და არსებობს გარკვეული ჯგუფები, ვისაც ეს არ მოსწონს. შეიძლება, ვიღაცას არ მოსწონდეს, რომ ჩვენს ცაზე გამოჩნდა ახალი ავიაკომპანია, გამოჩნდა „რაინეარი“, „ვიზეარის“ გაორმაგებული მიმართულებები; შეიძლება, ვიღაც მისტირის პერიოდს, როცა ცა იყო გაყოფილი ორ-სამ კომპანიას შორის და ეს იყო მონოპოლიზებული; შეიძლება, ვიღაცას არ მოსწონდეს, რომ ენერგეტიკაში ჩვენი რეფორმების შედეგად ისევ მოხდა ბაზრის დერეგულირება და გახსნა, არის მეტი კონკურენცია; შეიძლება, ვიღაცას საერთოდ არ მოსწონდეს, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში ბიზნესი თავისუფალია და არის მეტი კონკურენცია, რადგან სხვა პირობებშია შეჩვეული ბიზნესის კეთებას“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, არანაირი შავი პიარისა და შანტაჟის გამო არ მოხდება გადახვევა აღნიშნული პრინციპებიდან.

ანაკლიის კონსორციუმო, საქმეს მიხედეთ, საქმეს!

ჩვენ მხარს ვუჭერთ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტს, მთავრობამ ეს არაერთგზის დაამტკიცა, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, მთავრობა კვლავ თანმიმდევრულია ამ პროექტთან მიმართებაში.

„2017 წლიდან მოყოლებული, ექვსჯერ მოხდა ამ პროექტს ვადების გადაწევა. ჩვენ მხარს ვუჭერთ პროექტს, მთავრობამ ეს არაერთგზის დაამტკიცა. ჩვენი გადაწყვეტილება, რომ არ ვისარგებლოთ კონტრაქტით მონიჭებული უფლებით, არ დავიწყოთ კონტრაქტის მოშლა და მივცეთ დამატებითი ვადა წლის ბოლომდე, არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ და ვაცდით ინვესტორს, ბოლოს და ბოლოს, შეასრულოს თავის თავზე აღებული ვალდებულებები“, – განაცხადა თურნავამ.

მინისტრი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ მოუწოდებს, საქმეს მიხედონ.

მამუკა ხაზარაძე:
პატრიარქმა დაგვლოცა და წარმატება გვისურვა

მამუკა ხაზარაძე ილია მეორეს შეხვდა. ამის შესახებ მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელმა Facebook-ზე დაწერა.

„ვისაუბრეთ მოძრაობა „ლელოს“ მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე. ასევე საუკუნის პროექტზე – ანაკლიის პორტზე, რომელიც უმნიშვნელოვანესია როგორც სამეგრელოსთვის, ასევე ჩვენი ქვეყნისთვის და მთელი რეგიონისთვის. პატრიარქმა დაგვლოცა და წარმატება გვისურვა. ერთად საქართველოსთვის“ – წერს ხაზარაძე.

მაინც რას დაკარგავს საქართველო, ანაკლიის პორტი რომ არ აშენდეს?!

ანაკლიის პორტის მშენებლობა ბოლო დღეების განმავლობაში იმაზე მეტად გახდა აქტუალური, ვიდრე აქამდე. საუბარი იყო მთავრობის მხრიდან „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ხელშეკრულების შესაძლო შეწყვეტაზე. გუშინ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ანაკლიის ღრმაწლოვან პორტთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებაც გაავრცელა, სადაც განმარტა, რომ საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტის მნიშვნელობას და ამ ეტაპზე უარს ამბობს ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენებაზე.

ბიზნესის ანალიტიკოსი ჯაბა თარიმანაშვილი „კომერსანტთან“ ანაკლიის პორტის პროექტის შესაძლო ჩაშლის შედეგებზე საუბრობს. „ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა კითხვა, თუ რას დაკარგავს საქართველო,ანაკლიის პორტი რომ არ აშენდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანაკლია არ არის მხოლოდ პორტი, ანაკლია ეს არის რეგიონული განვითარების კონცეფცია, ახალი პლატფორმა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მრავალი წარმატებული პროექტის გამართვის შესაძლებლობას იძლევა.

როგორც თარიმანაშვილი აცხადებს, თუ პოტენციური ინვესტიციების მოცულობით ვიმსჯელებთ, საქართველო დაკარგავს 2,5 მილიარდი დოლარის ინვესტიციას, რომელიც ყველა ფაზის აშენებისთვის იყო გათვალისწინებული, ათიათასობით სამუშაო ადგილს, შესაძლებლობებს, რომელსაც ახალი სიტყვა უნდა ეთქვა სპეციალური ეკონომიკური ზონის და ანაკლიის სმარტ ქალაქის მეშვეობით, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კონტეინერების, მშრალი ტვირთების გამტარუნარიანობა და გემების დამუშავების ეფექტიანობა. გემების მოცდენით იზრდება ხარჯი, რომელსაც საბოლოო ჯამში მომხმარებელი იხდის გაძვირებული პროდუქციისათვის.

მისი განმარტებით, ისტორიულად პრობლემატური იყო დღეს არსებულ საქართველოს პორტებში პანამაქსის ტიპის გემისთვის 60 ათასტონიანი მშრალი ნაყარი ტვირთის პარტიის დაგროვება-დატვირთვაც, ასევე, ასეთი ტიპის გემების მიღება, პორტებში არსებული სიგრძისა და სიღრმის შეზღუდვების გამო. ასევე სირთულეს წარმოადგენდა გემების სწრაფი დაცლა–დატვირთვა, რადგან შეზღუდული სივრცე არ იძლეოდა სასაწყობე არეალის გაფართოვების საშუალებას. შედეგად ტვირთმფლობელებს ეზრდებოდათ გემის ნელი დამუშავებით და პორტში ხანგრძილივი დგომით გამოწვეული ხარჯი. შედეგებს საერთო ტვირთბრუნვის უარყოფითი სტატისტიკა ნათლად წარმოაჩენს, რადგან ციფრები არ იმალება. წლების მანძილზე ტვირთნაკადები სტაბილურად იკლებს, რადგან საქართველოს ნავსადგურები ვერ პასუხობდნენ რეგიონულ მოთხოვნებს, ამასთანავე საქართველოზე გამავალი სატრანსპოტრო დერეფნით გადაზიდვა მონაწილე ქვეყნებში არსებულ ბარიერებთან კომბინაციაში აკარგვინებდა ინტერესს სავაჭრო და სატრანსპორტო კომპანიებს.

„ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ღრმაწყლოვანი პორტი, ადგილი სადაც შესაძლებელი იქნება მინიმუმ 300 მეტრი სიგრძის საკონტეინერო, საკრუიზო, მშრალი–ნაყარი ტვირთების და სამხედრო გემების მიღება. დღეს არსებული პორტები აღნიშნულ მოთხოვნებს ვერ პასუხობს, რაც ავტომატურად ზღუდავს განვითარებას. დაკარგული ტვირთნაკადის დაბრუნება არ არის იოლი, რის შედეგადაც ზარალდება სატრანსპორტო დარგი და მასთან დაკავშირებული კომპანიები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წლების მანძილზე სატრანსპორტო დარგს ახლდა ექსკლუზივები, რაც გარკვეული კომპანიებისთვის ქმნიდა სასათბურე პირობებს, ხოლო იჩაგრებოდა მეორე კომპანია, რომელსაც არ ჰყავდა პატრონი ადმინისტრაციული რესურსით. სასათბურე პირობებში მყოფი კომპანია არ იყო განვითარებაზე ორიენტირებული, არ ახორციელებდა ინვესტიციების ჩადებას, არამედ ცდილობდა არსებული რესურსის ბოლომდე გამოწურვას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ტექნიკა ან ობიექტი არ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს. არაკონკურენტული გარემო უარყოფითად აისახებოდა კლიენტებთან ურთიერთობაზეც, ამიტომ განაწყენებული კლიენტი ალტერნატიულ დერეფნებში გადადიოდა.

სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ინსტიტუტების გაძლიერებაზე, რაც ავტომატურად გააჩენს სამართლიანი მუშაობის პირობებს. თუ უზრუნველყოფილი იქნება კანონის უზენაესობა, საკუთრების ხელშეუხებლობა, დაცული იქნება ადამიანის უფლებები, კონკურენცია, მკაცრად დაისჯება სამოხელეო დანაშაული, სამსახურებრივი გულგრილობა, უფლებამოსილების გადამეტება და მთლიანი სისტემა ორიენტირებული იქნება ქვეყნის განვითარებასა და მოქალაქის კეთილდღეობაზე, მეწარმეებსა და ინვესტორებსაც გაუჩნდებათ მოტივაცია, განახორციელონ გრძელვადიანი პროექტები, რაც, თავის მხრივ, განავითარებს ეკონომიკას, გაზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, შექმნის სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას“-აცხადებს თარიმანაშვილი.

სოფო ქსოვრელი

კულტურის განვითარების ფონდს გრანტების გაცემის უფლება ოფიციალურად მიენიჭა

კულტურის ეროვნული ფონდი, მთავრობის დადგენილების თანახმად, კულტურის სფეროს სხვადასხვა პროექტზე გრანტის გამცემად განისაზღვრა. ამის შესახებ ინფორმაციას განათლებისა და კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, სამინისტრო ახორციელებს მასშტაბურ კომპლექსურ რეფორმასა და სისტემურ ცვლილებებს კულტურის სფეროში, რაც ევროკავშირის რეკომენდაციებს ეფუძნება და საქართველოს საჭიროებებს არის მორგებული.

„ამ რეფორმის ფარგლებში, საჯარო დაფინანსების იდეალურ მოდელად „კულტურის ეროვნული ფონდის“ შექმნა გადაწყდა, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კულტურის განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ განაწილებას, ეფექტიანად ადმინისტრირებასა და მონიტორინგს, უზრუნველყოფს კულტურის თანასწორ ხელმისაწვდომობას საზოგადოების ყველა წევრისთვის, განსაკუთრებით რეგიონების – მაღალმთიანი სოფლების, საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის, სპეციალური საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ეთნიკური უმცირესობებისთვის, ახალგაზრდებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის“, – აცხადებენ სამინისტროში.

არაპროფესიონალიზმი პრობლემის თავიდათავია!

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს, ერთი კომპანია უნდა იყოს პასუხისმგებელი როგორც დაპროექტებაზე, ისე მის მშენებლობაზე...

რამდენიმე **დღის წინ, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ გზების მშენებელი კომპანიები გაჭიანურებული სამუშაოების გამო გააკრიტიკა. "დაიბარეთ ორივე კომპანია („ენსისი" და „ინშაათ საქართველო") და ბოლო გაფრთხილება მიეცით, ბოლო-ბოლო, ჩამოვიყვანთ უცხოელებს და ვანახებთ, როგორ უნდა განხორციელდეს ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები", — განაცხადა კალაძემ.**

„კომერსანტი" არაერთხელ წერდა იმ პრობლემებზე, რის გამოც კომპანიებს პროექტების დასრულება უჭიანურდებათ. დარგის სპეციალისტების განცხადებით, რა თქმა უნდა, არსებობენ არაკეთილსინდისიერი კომპანიებიც, ვინც ფულს იღებს და სამუშაოებს ვერ ასრულებს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს არაპროფესიონალიზმ კომპანიებზე ტყდება ჯოხი. კერძოდ, უმრავლეს შემთხვევაში, პროექტი არასწორად და არაპროფესიონალურადაა შედგენილი. შესაბამისად, მერია ან

ინფრასტრუქტურის სამინისტრო ვალდებულია, რომ კერძო კომპანიის მხრიდან შედგენილ პროექტს მონიტორინგი გაუწიოს, გადაამოწმოს.

კერძო კომპანიები ერთ-ერთ პრობლემად, სახელმწიფოს მხრიდან დაგვიანებულ ჩარიცხვებსაც ასახელებენ.

„ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის" დირექტორი ანა საბახტარაშვილი განმარტავს, რომ დაგვიანებულ პროექტებს ბევრი სხვადასხვა მიზეზი აქვს. მათ შორისაა, ისეთი საერთაშორისო სტანდარტების მქონე სისტემის არარსებობა, რომელიც ერთ კომპანიას დაავალდებულებს როგორც პროექტირებას, ისე მშენებლობას და მოვლა-შენახვას. საუბარია, ეგრეთ წოდებულ Design Build-ის (პროექტირება-მშენებლობა) და Design Build Maintain-ის (პროექტირება-მშენებლობა-მოვლა-შენახვა) ტიპის შესყიდვაზე.

როგორც საბახტარაშვილი ამბობს, ხშირად, სამშენებლო კომპანიას ექმნება რეპუტაციული პრობლემა, რეალურად, კი საპროექტო სამუშოებია არასწორად შესრულებული.

„საპროექტომ პროექტი ჩააბარა, მერე გამოცხადდა ტენდერი სამშენებლო სამუშოებზე, რაც ნიშნავს იმას, რომ საპროექტომ პასუხისმგებლობა მოიხსნა. მაშინ, როდესაც მისი არასწორად და არასრულად შესრულებული საქმე თავს იჩენს უკვე სამშენებლო სამუშოების შესრულებაში. ამ პრობლემაზე ინტენსიურად საუბრობენ სამშენებლო კომპანიებიც. სამთავრობო დაწესებულებებს ხშირად სთხოვენ პროექტირებისას მნიშვნელოვანი დეტალების გათვალისწინებას," — აცხადებს საბახტარაშვილი.

მისივე განცხადებით, პროექტების გაჭიანურების მიზეზი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან პროექტში ცვლილებებიც ხდება ხოლმე. მაგალითად, ხშირად ჩნდება ისეთი გარემოება, რომელიც პროექტის შეცვლას განაპირობებს. ასეთ დროს კი სამშენებლო სამუშაოები აუცილებლად უნდა შეჩერდეს.

„საბოლოო ჯამში, მშენებელი ჯარიმდება, რადგან სამუშაოებს თავისი ვადა აქვს და დროში გადაცდენა ჯარიმებს ითვალისწინებს. ხშირად უფრო მკაცრ ზომებზეც არის ხოლმე საუბარი, როგორიცაა მაგალითად, ხელშეკრულების გაწყვეტა"-აღნიშნავს საბახტარაშვილი.

„ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის" დირექტორი აუცილებლად თვლის ისეთი სისტემის შემოღებას, როდესაც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს, ერთი კომპანია იქნება პასუხისმგებელი როგორც დაპროექტებაზე, ისე მის მშენებლობაზე. სამომავლოდ კი, შეიძლება ამ სისტემას, პროექტის მოვლა-შენახვის კომპონენტიც დაემატოს. მისი განცხადებით, ეს არის კლასიკური გამოსავალი, რომელსაც მთელს მსოფლიოში იყენებენ.

მისივე განცხადებით, პრობლემას ქმნის ბოლო პერიოდში გაჭიანურებული ლარის კურსიც,რადგან მასალების უდიდესი ნაწილი, რომლის შეძენაც კომპანიებს უწევს, იმპორტირებულია. შესაბამისად, მათი ფასები დოლარის ეკვივალენტია ლარში, ამის გამო კომპანიებს სამშენებლო მასალები უძვირდებათ. საბახტარაშვილის განცხადებით, ხშრად პროექტის შემუშავება ხდება ერთი კურსით, ხოლო როდესაც მშენებლობა იწყება, სხვა კურსია, სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ასეთ ტენდერებში მონაწილეობას არ იღებენ ისეთი კომპანიები, რომლებიც ხარისხზე არიან ოერიენტირებულნი.

„ასეთი ტიპის ტენდერებში არასწორი ფასწარმოქმნაა. მით უმეტეს, როდესაც ქვეყანაში არასტაბილური კურსია, უნდა მოხდეს ფასწარმოქმნის გადახედვა და ხელშეკრულებაში აუცილებლად განსაზღვრული უნდა იყოს კურსთა შორის სხვაობიდან გამომდინარე ანაზღაურება და დამატებითი თანხა" — დასძენს საბახტარაშვილი.

სოფო ქსოვრელი

ფქვილზე ფასების დამატებით ზრდა მოსალოდნელი არ არის

საქართველოში **ხორბლის ფქვილი უკვე გაძვირდა და უახლოეს პერიოდში ფასების დამატებით ზრდა მოსალოდნელი აღარ არის, — ამის შესახებ საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, ლევან სილაგავამ** **გა-ნაცხადა.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2019 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პური და პურპროდუქტები 10.8 პროცენტით გაძვირდა.

ლევან სილაგავა განმარტავს, რომ საქართველოში ხორბლის დაახლოებით 90 პროცენტი იმპორტირებულია. ადგილობრივი წარმოება



მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს, რაც საკმაოდ მცირეა და არ იძლევა შიდა რისკების გადაზღვევის საშუალებას. შესაბამისად, საქართველოში პურისა და ხორბლის ფასი დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზარზე. გასათვალისწინებელია ნედლეულის, ასევე ტრანსპორტირების ფასი, რომელიც ლარის კურსზეა მიბმული.

„ლარის კურსი აწეულია, მაგრამ 2.96-2.97 ფარგლებში მერყეობს. ბიზნესი შეეგუა ამ ფასს და დღესდღეობით გვექნება სტაბილური ფასები", — განაცხადა სილაგავამ.

ლაგოდეხელი ფერმერის მოყვანილი ტკბილი სიმინდი უკვე იყიდება

კახეთში **მოყვანილი ტკბილი სიმინდის სუპერმარკეტში გაყიდვა პირველი ფართომასშტაბიანი წარმატებაა ევროკავშირის და FAO-ს პროექტისა, რომელიც მიზნად ისახავს ქართველი ფერმერების პროდუქტიულობის და შემოსავლების ზრდას, თანამედროვე მიდგომებით და მწარმოებლებისა და შემსყიდველი კომპანიების ერთმანეთთან დაკავშირებით.**

საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი და FAO-ს წარმომადგენელი რაიმუნდ იელე FAO-ENPARD-ის პროექტის ბენეფიციარს საკუთარი პროდუქციის „კარფურის" მაღაზიათა ქსელში შეტანის პირველ დღეს პირადად შეხვდა.



დავით და ვალენტინა კაპანაძეები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ლაგოდეხის სოფელ თამარიანში ეწევიან. მათ FAO-ს აგრონომებისა და ექსპერტების დახმარებით, ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში, წელს ტკბილი სიმინდის სადემონსტრაციო ნაკვეთი მოაწყვეს და ადგილზე თანამედროვე ევროპული სტანდარტები და პრაქტიკა დანერგეს. პროექტის დახმარებით, მოხდა დავითის და ვალენტინას დაკავშირება ჰიპერმარკეტ კარფურთან, რომელიც ხვალიდან რეგულარულად შეისყიდის ფერმერის მიერ ნაწარმოებ, უმაღლესი ხარისხის ტკბილი სიმინდის მოსავალს.

სააქციო საზოგადოება „თელასი" შესაძლოა, გაიყიდოს!

სააქციო **საზოგადოება „თელასის" შესაძლო გაყიდვასთან დაკავშირებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განცხადება გააკეთა. „თელასთან" დაკავშირებით ინფორმაცია მედიით მოვისმინე. რაიმე სახის წინადადებით ჩვენთვის არავის მოუმართავს. აქედან გამომდინარე, ამაზე კომენტარს, ამ ეტაპზე ვერ გავაკეთებ.**

როგორც ცნობილია, გუშინ „ფორმულამ" გაავრცელა ინფორმაცია, რომ სააქციო საზოგადოება „თელასი" შესაძლოა, გაიყიდოს. კერძოდ, სს-ების შესყიდვით გავლენიანი ბიზნესმენები ხვიჩა მაქაცარია და ვანო ჩხარტიშვილი არიან დაინტერესებული. ბიზნესმენი ხვიჩა მაქაცარია „ფორმულის" კითხვებს არ პასუხობს, თუმცა არც უარყოფს რომ „თელასის" წილის შესყიდვით არის დაინტერესებული.

„ფორმულის" ინფორმაციით, ის მოლაპარაკებებს ერთდროულად ქართულ და რუსულ მხარეებთან აწარმოებს. რამდენიმე დღის წინ მაქაცარია ბაქოში იმყოფებოდა, სადაც ამ თემაზე შეხვედრები გამართა. ინფორმაციას „თელასის" ირგვლივ განვითარებულ პროცესებზე ჯერ არც ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიაში ფლობენ.

ცნობისთვის, სააქციო საზოგადოება „თელასი" 75-პროცენტიან წილს რუსული სახელმწიფო კომპანია „ინტერ-რაოს" შვილობილი კომპანია ფლობს. 25 პროცენტს კი საპარტნიორო ფონდი. „თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გიორგი ჩიქოვანი „ფორმულასთან" ამბობს, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 25 % არ იყიდება, თუმცა ჩიქოვანი არ გამორიცხავს, რომ „თელასით" ხვიჩა მაქაცარია იყოს დაინტერესებული.

„კომერსანტი"



„მშვიდობისმყოფელები სვანეთის მთებში“

ფილმი აფხაზეთის ომში უკრაინელი სამხედრო მფრინავების ღვაწლზე

ვეტერანის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გუშინ თავდაცვის სამინისტროს „არმი ჰოლში“, საქართველოში უკრაინის საელჩოს ინიციატივით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით და თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, უკრაინელი რეჟისორის მიროსლავ გაის დოკუმენტური ფილმის „მშვიდობისმყოფელები სვანეთის მთებში“ ჩვენება გაიმართა.

ფილმში ასახულია 1993 წელს აფხაზეთის ომში უკრაინელი სამხედრო მფრინავების ღვაწლი, რომელთაც სოხუმის დაცემის შემდეგ სამხედრო ვერტმფრენებით 300-მდე გაფრენა განახორციელეს და საქართველოს 10 000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე გარდაუვალ სიკვდილს გადაარჩინეს.

1993 წელს აფხაზეთის ომში 300-მდე უკრაინელმა ჯარისკაცმა მიიღო მონაწილეობა. უკრაინელი სამხედროები აფხაზეთის თითქმის ყველა ცხელ წერტილში იბრძოდნენ. მათ შორის, მონაწილეობდნენ სოხუმის გარშემო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლეების დაცვაში, შემდეგ კი ქართველი მოსახლეობის ევაკუაციაში კოდორის ხეობისკენ და იქიდან — სვანეთში.

ფილმის ჩვენების შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოში უკრაინის ელჩმა იგორ დოლგოვმა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიხსენა საქართველოსა და უკრაინას შორის სამაგალითო მეგობრობა: **„ჩვენს ქვეყნებს ერთნაირი ხვედრი ერგოთ; ერთი მტრის გამო ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა გვაქვს. მეგობარი ჭირში შეიცნობა და ჩვენ, უკრაინელებმა და ქართველებმა, ეს არაერთგზის დავამტკიცეთ ერთმანეთის მხარდამხარ ბრძოლით საქართველოსთვის და უკრაინისთვის.“**

ემოციური იყო საგანგებოდ ამ ღონისძიებისთვის, უკრაინიდან ჩამოსული სამხედრო მფრინავების, სვანეთის მთებში მშვიდობისმყოფელების, ვლადიმერ გარკუშას, ოლეგ ტარჩევსკის, გიორგი ჩიბისოვის გამოსვლა, რომლებმაც გაიხსენეს მძიმე, ურთულესი დღეები ბრძანების მიღებიდან ბოლო მშვიდობიანი მოქალაქის სამშვიდობოზე გამოყვანამდე: „როცა უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილი ქართველი ბავშვები, ქალები, მოხუცები დავინახეთ, რომლებიც გარდაუვალი სიკვდილისთვის იყვნენ განწირულნი, წამითაც არ დავფიქრებულვართ, რისკზე მივდიოდით და 24-ის ნაცვლად, გაცილებით მეტს ვსვამდით შვეულმფრენში, რადგან არ შეგვეძლო, უმწეო, განადგურებული დევნილები, გასაყინად გაგვემეტებინა... და ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელი,“ — განაცხადა ოლეგ ტარჩევსკიმ.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა ვლადიმერ იმნაძემ, საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, გენერალ-მაიორმა გიორგი ყარყარაშვილმა, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილემ ჯანდრი უბირიამ და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ შალვა ჯაბახიძემ სტუმრებს მადლობა გადაუხადეს იმ გაწეული ღვაწლისთვის, მეგობრობისთვის და თანადგომისთვის, რაც მათ ქართველების მიმართ აფხაზეთის ომში თავგანწირვის ფასად გამოავლინეს.

ღონისძიების ფარგლებში „არმი ჰოლში“ წარმოდგენილი იყო პავლე პაშენკოს ფოტოგამოფენა სახელწოდებით: „სამშვიდობო ოპერაცია სვანეთში“.

ფილმის ჩვენებას, ასევე, დაესწრნენ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე ნიკოლოზ კვეზერელი, მოადგილე მირონ ჩიგოგიძე, უკრაინის ატაშე თავდაცვის საკითხებში, გენერალ-მაიორი იგორ ოსტაპენკო, სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ევგენი ორლოვი, ვეტერანების არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თავმჯდომარე აკაკი ვაშაკიძე, საქართველოს „გენერალთა კლუბის“ წევრები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბის, თავდაცვის სამინისტროს მოქმედი ჯარისკაცები, ვეტერანები.

საუკეთესო ქვეყანა ექსტრემის მოყვარულთათვის

რატომ არის საქართველო ექსტრემის მოყვარულთათვის საუკეთესო სათხილამურო მიმართულება — ამ სათაურით ბრიტანული გამოცემა Independent საქართველოს შესახებ სტატიას აქვეყნებს. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

გავლენიანი ბრიტანული გაზეთის ჟურნალისტმა ალფ ალდერსონმა საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმოგზაურა.

ჟურნალისტი მკითხველს სვანეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს და სამთო კურორტებს თეთნულდს და ჰაწვალს აღწერს.

„ლონდონიდან თბილისამდე 4-საათიანი ფრენა რთული არ არის, თბილისიდან მესტიამდე ფრენას დიდი დრო არ სჭირდება, თუ სახმელეთო ტრანსპორტით მოგზაურობა მოგიწევთ, თქვენ საშუალება მოგეცემათ ულამაზესი ბუნება, ხეობები, მდინარეები და ტყეები იხილოთ, სადაც დათვები, მგლები და ფოცხვერები ბინადრობენ. აქ მთები უფრო მაღალია ვიდრე ალპებში“, — წერს Independent-ის ჟურნალისტი.

სვანეთთან ერთად ალფ ალდერსონი მკითხველს გუდაურისა და გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტების მონახულებას ურჩევს.

Independent ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული გამოცემაა დიდ ბრიტანეთში. მთელ მსოფლიოში Independent-ის ონლაინ და ბეჭდურ გამოცემას ყოველთვიურად 7 მილიონზე მეტი მკითხველი ჰყავს.

„საქართველო ღვინის სამშობლო“ სპეციალური პრიზის მფლობელია

პარიზში, ლუქსემბურგის სასახლეში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე ფილმს „საქართველო ღვინის სამშობლო“ სპეციალური პრიზი გადაეცა. ქართულმა სამეცნიერო მხატვრულ-დოკუმენტურმა ფილმმა „საქართველო ღვინის სამშობლო“ საფრანგეთში ქალაქ მარსელში მიმდინარე წლის 13-16 ივნისს გამართულ ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის ფესტივალზე „Oenovideo“ - ფესტივალის პარტნიორთა და ჟიურის მიერ — მეცნიერებისა და კულტურის სპეციალური პრიზი მიიღო. წელს ფესტივალის შესარჩევ ეტაპზე 144 ფილმი მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ჯილდო სულ რამდენიმემ დაიმსახურა.

მიმდინარე კვირაში პარიზში გამართულ დაჯილდოების ცერემონიას ფილმის იდეის ავტორი და შემეცნებითი მიმართულების პროდიუსერი, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე და საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში და „იუნესკოში“ საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი გოჩა ჯავახიშვილი დაესწრნენ.

ფილმი „საქართველო ღვინის სამშობლო“ იმ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევას ეძღვნება, რომლითაც მეცნიერულად დასაბუთდა, რომ სწორედ საქართველოა ღვინის სამშობლო და 8000 წლის წინ სწორედ ჩვენს ტერეტორიაზე დაიწყო ველური ვაზის მოშინაურება და ღვინის წარმოება, რაც უწყვეტად გაგრძელდა დღემდე. ფილმში ასევე ასახულია მეღვინეობის დედაქალაქად წოდებულ, საფრანგეთის ქალაქ ბორდოში 2017 წელს გამართულ პროექტზე „საქართველო მეღვინეობის აკვანი“ (სადაც ახლადგახსნილ ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში — La Cite′ du Vin საქართველო), როგორც პირველი მიწვეული ქვეყანა იყო წარდგენილი.

სამეცნიერო-მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი გადაღებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სააგენტოს „საქპატენტის“ მხარდაჭერით. ორმოცწუთიანი ფილმის რეჟისორია ალექსანდრე გაბუნია. გადაღებები სხვადასხვა დროს საქართველოსა და აშშ-ში, ასევე იტალიასა და საფრანგეთში მიმდინარეობდა. ფილმი გადაღებულია სტუდია „სინემანი ფილმის“-ის ბაზაზე.

კეთილმოეწყობა ბოდბის დედათა მონასტერი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი სიღნაღის მუნიციპალიტეტში ბოდბის წმინდა ნინოს დედათა მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს.

პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 1.8 მილიონი ლარია.

ფონდის ინფორმაციით, პროექტი ითვალისწინებს მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ორდონიანი ავტოსადგომის მოწყობას. აგრეთვე, გათვალისწინებულია: შიდა და გარე წყალსადენ-კანალიზაციის, სანიაღვრე სისტემის, გათბობა-ვენტილაციის, შიდა და გარე განათების, ვერტიკალური გეგმარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

როგორც ფონდში აცხადებენ, ბოდბეს წმ. ნინოს დედათა მონასტერში ტურისტების და მომლოცველების რაოდენობა საგრძნობლად გაზრდილია, რაც თავისთავად იწვევს ავტოტრანსპორტის რაოდენობის ზრდასაც. დღეის მდგომარეობით, ტურისტები და მომლოცველები ავტოტრანსპორტს აჩერებენ მონასტრის წინა მოედანზე. მონასტერთან არსებული ინფრასტრუქტურა კი ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნას და იქმნება საცობი.

სამუშაოები 2019 წლის ივლისში დაიწყო და 2020 წლის იანვარში დასრულდება.

სირიაში მიმდინარე თურქულ ოპერაციას, გარდა ჰუმანიტარული კრიზისისა და ადამიანური მსხვერპლისა, კიდევ ერთი მძიმე შედეგი მოჰყვა: ვრცელდება ცნობები, რომ ქურთების მიერ კონტროლირებადი ციხეებიდან „ისლამური სახელმწიფოს“ წევრები გაიქცნენ. ამასთან, ქურთები იმუქრებიან, დაცვა მოუხსნან დანარჩენ ციხეებსაც, თუ თურქეთი სამხედრო ოპერაციის წარმოებას არ შეწყვეტს. ვითარება კრიზისულია. ამ ეტაპზე უცნობია, ვინ შეძლო ციხიდან თავის დაღწევა და არიან თუ არა მათ შორის საქართველოს მოქალაქეები. სოციალური ქსელების დახურულ ჯგუფებში კი ვრცელდება ცნობები, რომ ბანაკებიდან, რომლებიც დაბომბვებში მოჰყვნენ, ქურთებმა დაცვა მოხსნეს და ბრძოლის წინა ხაზზე გადაისროლეს, „ისლამური სახელმწიფოს“ მებძოლები გაიქცნენ, ხოლო ბანაკებში მყოფ ჩრდილოეთ კავკასიელ ქალებსა და ბავშვებს მიუთითეს (ვინაიდან ისინი რეგიონს არ იცნობენ), რომ „მათი საკითხი გარკვეულია“, დარჩნენ ადგილზე, ხელთ ჰქონდეთ თეთრი დროშები და თურქ სამხედროებს ჩაბარდნენ.

გარდა იმისა, რომ „ისლამურ სახელმწიფოში“ საქართველოს რამდენიმე ათეული მოქალაქე იბრძოდა, ქვეყანას მის უჯრედებთან რამდენჯერმე უშუალოდ მოუწია შეხება: ამ წლების განმავლობაში ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირის ბრალდებით რამდენიმე პირი დააკავეს. ყველაზე მძიმე შემთხვევა 2017 წელს დაფიქსირდა, როდესაც ქვეყანაში შემოსვლა აშშ-ის მიერ ყველაზე საშიშ ტერორისტთა სიაში შეყვანილმა ახმედ ჩატაევმა და მისმა თანამოაზრეებმა შეძლეს. მაშინ სუს-მა გააკეთა განაცხადი, რომ ჩატაევი ტერორისტული აქტების განხორციელებას გეგმავდა, თუმცა ამ ეტაპზე მაინც დაუზუსტებელია, ეს გეგმა თვითმოქმედება იყო, თუ დავალება.

საპატიმროებიდან ტერორისტების გაქცევის შემდეგ ექსპერტები რეგიონში საფრთხის დონის მომატებას პროგნოზირებენ. ეხება თუ არა ეს საფრთხე საქართველოს, რაზე მიანიშნებს რეგიონში მიმდინარე პროცესები, თმობს თუ არა აშშ პოზიციებს და როგორ აისახება ეს საქართველოზე? — ამ და სხვა საკითხებზე **„აძცენტი“** აღმოსავლეთმცოდნე **ზურაბ ბატიაშვილს** ესაუბრა.

აშშ რეგიონს ტოვებს, ტრამპი ერდოღანს სულელად მოიხსენიებს

ზურაბ ბატიაშვილი — შექმნილი არეულობით ისარგებლეს და ქურთების მიერ კონტროლირებადი ერთ-ერთი ციხიდან გაიქცა „ისლამური სახელმწიფოს“ 800-მდე მებრძოლი, ისინი ოჯახის წევრებთან ერთად თურქეთისკენ გაემართნენ. მოგეხსენებათ, ტერიტორიულად ყველაზე ახლოს თურქეთია. ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით, რამდენია მათ შორის საქართველოს მოქალაქე, რამდენი — ჩრდილოეთ კავკასიელი. ჩვენ გვაქვს ცუდი გამოცდილება ახმედ ჩატაევსა და მის რაზმთან დაკავშირებით და ეს შესაძლოა, ისევ განმეორდეს. როგორც წესი, მებრძოლები ყოველთვის არ იბრძვიან, მათ სჭირდებათ ადგილი ძალების მოსაკრებად შემდგომში გადაჯგუფებისთვის. როგორც ჩატაევის შემთხვევაში ვნახეთ, ისინი ეძებენ სუსტ რგოლს და შესაძლოა, ასეთ სუსტ რგოლად განიხილონ საქართველო. საქართველოსთან ერთად, მსგავს სუსტ რგოლად განიხილება უკრაინაც. ამდენად, მათი ძირითადი მიმართულებები საქართველო და უკრაინაა, ვინაიდან ევროპაში შესვლა რთულდება.

გარდა ხსენებული 800 მებრძოლისა და მათი ოჯახის წევრებისა, სირიის ტერიტორიაზე, ქურთების მიერ კონტროლირებად ციხეებშია კიდევ 3 000-მდე მებრძოლი ოჯახის წევრებითურთ. მსოფლიო დგას საფრთხის წინაშე, რომ ისინიც გაიფანტონ. ხოლო გაფანტვის შემდეგ რომელ მათგანს რა მოუვა თავში, რთული განსასაზღვრია. ამ მებრძოლების შესახებ დეტალური ინფორმაცია აქვთ აშშ-ის შესაბამის ორგანოებს — სპეცსამსახურებს და ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენმა სპეცსამსახურებმა ამერიკელ კოლეგებთან დაიწყონ აქტიური კომუნიკაცია, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, არ არის გამორიცხული, გაქცეულთა შორის საქართველოს მოქალაქეებიც იყვნენ.

— ამ შემთხვევაში წარმომავლობას რატომ აქვს დიდი მნიშვნელობა?

— ვიცით, რომ უკანასკნელ წლებში „ისლამური სახელმწიფო“ შესუსტდა და ალბათ, მისთვის მნიშვნელოვანი იქნება განაცხადის გაკეთება „აღზევების“ თაობაზე. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ევროპაში გადასვლა რთულია, შესაძლოა, სხვა ტერიტორიები გამოიყენონ ამისთვის და არა მხოლოდ მკურნალობისა და ძალების მოკრებისთვის. იგივე ჩატაევის შემთხვევაშიც იყო საუბარი, რომ საქართველოში დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან გეგმავდნენ ტერორისტულ აქტებს... მათ უპირატესობა იმ კუთხით აქვთ, რომ გზებს, აქაურ სიტუაციას იცნობენ, ექნებათ კავშირებიც. ის, ვინც გარემოს არ იცნობს, ფრთხილობს, ამდენად, ამ მიმართულებით გადაადგილება შესაძლოა, მისთვის პრიორიტეტი არ იყოს. ამიტომ აქვს მნიშვნელობა, ვიცოდეთ, რა წარმომავლობის არიან გაქცეული მებრძოლები.

რაც შეეხება მოსალოდნელ ტერორისტულ აქტებს, „ისლამური სახელმწიფო“ ტერორისტული ორგანიზაციაა და მთავარი მიმართულება ამ კუთხით აქტივობაა. მათი პრიორიტეტია დასავლეთ ევროპის ცნობადი ქვეყნები და ქალაქები, მაგრამ ბევრი ვერ შეძლებს იქ ჩაღწევას, ამდენად მოსალოდნელია, რომ სხვა მიმართულებებზე, იფიქრონ. ხოლო სამიზნე შესაძლოა, იყოს დიპლომატიური უწყებები, უცხოური კომპანიები, სავაჭრო ცენტრები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტურისტული ადგილები, ანუ ადგილები, რომლის „წყალობითაც“ მათი აქტივობა ბევრი მედიაორგანიზაციის ნიუსში მოხვდება და მათ „ცნობადობას“ აამაღლებს. ეს იქნება ერთგვარი განაცხადი „აღზევების“ თაობაზე.

— თავად მიმდინარე პროცესს, მათ შორის აშშ-ის გადაწყვეტილებას როგორ აფასებთ, იმის თაობაზე, რომ სირიიდან თავისი ძალები გაეყვანა?

— ბუნებას სიცარიელე არ უყვარს. აშშ-ის გასვლის შემდეგ ამ ტერიტორიებს იკავებენ ასადის რეჟიმი და დიდწილად რუსული სამხედრო ნაწილები. სიტუაციაში მოგებულად რუსეთი გამოდის: ის ცდილობს, შეიქმნას იმიჯი, რომ არის ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფო, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ძალუძს „მშვიდობის“ დამყარება, მედიატორის როლის შესრულება და პრობლემების მოგვარება. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან იგივე სირიაში, სადაც დღესაც მიმდინარეობს მოსახლეობის დაბომბვა, რის შედეგადაც უიარაღო ქალები და ბავშვები იხოცებიან, მთავარი მოქმედი პირი სწორედ რუსეთია და დანაშაულს, რომელიც მას კაცობრიობის წინაშე აქვს ჩადენილი, კრემლი ვერასოდეს ვერ ჩამოირეცხავს.

— ზოგად სურათზე რომ ვისაუბროთ, აშშ რეგიონში პოზიციებს თმობს?

— რა თქმა უნდა, დასავლეთი თმობს პოზიციებს და მის ადგილს იკავებს რუსეთი. ეს რეალობაა და დამაფიქრებელია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ისრაელისთვისაც, რომელიც ამერიკის მთავარი მოკავშირეა რეგიონში. ღრმად გასაანალიზებელი პროცესია, თუ რა და როგორ მოხდა. მართალია, მცირერიცხოვნად, მაგრამ ადგილზე ამერიკასთან ერთად წარმოდგენილები იყვნენ საფრანგეთისა და ბრიტანეთის სამხედრო ნაწილებიც და მათაც ავტომატურად მოუწევთ გასვლა, რადგან მარტონი ვერ დარჩებიან.

რუსეთი ძლიერდება: რას უქადის სირიული კრიზისი საქართველოს

— ამ ვითარებაში ჩვენ როგორ გამოვიყურებით? ვგულისხმობ იმას, რომ აშშ ასუსტებს პოზიციებს რეგიონში, ჩვენი დასაყრდენი კი სწორედ აშშ-ია...

— გაძლიერდება პრორუსული რიტორიკა, „აი თქვენი ამერიკა, მოკავშირეებს ატოვებს მტერს და გარბისო“. აქ (საქართველოსა და სირიას შორის) ბევრი განმასხვავებელი ფაქტორია, მაგალითად ის, რომ სირიაში მოქმედების დროს ამერიკის მოკავშირე სახელმწიფოებრივი აქტორი არ იყო (ქურთები, რომელთაც თურქეთი ტერორისტულ ორგანიზაციად განიხილავს და მათ გამო წამოიწყო ოპერაცია თურქეთმა) თუმცა ზოგადად, ის პროცესი, რომ ამერიკა რეგიონიდან გადის, არცთუ სასიამოვნოდ გამოიყურება.

— და რა გავლენას ახდენს ეს პროცესი ჩვენზე? აშშ რეგიონიდან გადის, რუსეთი აქ ძლიერდება, მას კი ჩვენზე ზეწოლის მოსახდენად მრავალი ბერკეტი აქვს...

— ეს პროცესი უშუალოდ ამერიკა-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებზე უარყოფითად არ აისახება, მაგრამ თავად პრეცედენტი, რომ ამერიკა რეგიონიდან გადის, ქმნის მოლოდინს, რომ ეს შესაძლოა, სხვაგანაც მოხდეს, მიუხედავად იმისა, რომ როგორც უკვე ვთქვი, სირიასა და საქართველოში აბსოლუტურად განსხვავებული რეალობებია.

პრეზიდენტ ტრამპის წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ ის დაასრულებდა ომებს და გაიყვანდა საჯარისო ნაწილებს ავღანეთიდან, ერაყიდან. ეს ნაბიჯი მან გადადგა სირიაში და შესაძლოა, იგივე გააკეთოს ავღანეთსა და ერაყშიც, რადგან აქვს ეს წინასაარჩევნო დაპირება და ახალი არჩევნები ახლოვდება. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. როგორც ვხედავთ, მიმდინარე პროცესებმა ციხეებიდან „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების გაქცევა გამოიწვია და ეს შესაძლოა, ტრამპისთვის დამაფიქრებელი ფაქტორი იყოს.

— აქ ალბათ, პოზიტიური მოვლენა ისაა, რომ ტრამპის გადაწყვეტილებას როგორც „დემოკრატები“, ისე „რესპუბლიკელებიც“ აპროტესტებენ...

რა თქმა უნდა, ევროპული ქვეყნებიც წინააღმდეგნი არიან. ანუ, ეს მთელი დასავლეთის პოზიცია არ არის და ეს იმედის მომცემია.

ამ ეტაპზე არსებული ვითარება პროგნოზირების შესაძლებლობას არ იძლევა, რადგან ბევრი რამაა გასარკვევი: ასადის ჯარებმა დაიწყეს მოძრაობა და საინტერესოა, სად შეხვდებიან თურქულ ნაწილებს, რა მოხდება მათ შორის და ა.შ....

— თქვენ ბრძანეთ, ცარიელ ადგილს სხვა ძალა იკავებს და ამ შემთხვევაში ეს რუსეთია. რუსეთი იყო და არის წარმოდგენილი სირიაში. იყო პროგნოზი, რომ სწორედ ახლო აღმოსავლეთია ის წერტილი, სადაც რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები გამწვავდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ბოლოს თითქოს დათბობის პერიოდი დაიწყო. ამ კუთხით მოვლენათა რა სცენარით განვითარებას მოელით?

— მათ შორის იდეალური ურთიერთობა არასოდეს ყოფილა და არც ახლაა. მაშინაც კი, როდესაც ცხადდებოდა, რომ ისინი ურთიერთობებს ათბობდნენ, რეალურად, ეს არა სტრატეგიული, არამედ ტაქტიკური მოკავშირეობა იყო: გრძელვადიანად ამ ორ ქვეყანას სხვადასხვა მიზნები და ამოცანები აქვს და ისინი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია. იგივე დავინახეთ სირიაშიც: ვნახოთ, ასადის ძალებისა და თურქეთის შეხვედრა რით დასრულდება. რუსეთის პოზიციაა, რომ ყველა უცხო ძალამ, გარდა რუსეთისა, სირია უნდა დატოვოს. ისინი სირიაში თურქეთის გრძელვადიანად ყოფნას არ მიესალმებიან და ვფიქრობ, ამ პოზიციას კიდევ უფრო მკაცრად დააყენებენ მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთის ახლოს დადგნენ. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საჰაერო სივრცეს სირიის სამხრეთში მთლიანად რუსეთი აკონტროლებდა, ახლა, მაღალი ალბათობით, საჰაერო სივრცის კონტროლი ჩრდილოეთ ნაწილშიც გადაინაცვლებს. ეს, რა თქმა უნდა, ცვლის რეალობას: უპირატესობა აქვს მას, ვინც ჰაერს აკონტროლებს, ვინაიდან საჰაერო სივრცის კონტროლის გარეშე სახმელეთო ოპერაციის წარმატების შანსი არ არსებობს.

მერკელი ერდოღანს აფრთხილებს

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა მკაცრად მოუწოდა თურქეთის პრეზიდენტს, დაასრულოს სირიის ჩრდილოეთ ნაწილში სამხედრო ოპერაცია.

„ბოლო დღეების განმავლობაში, მე მკაცრად მოვუწოდე თურქეთს, დაასრულოს ქურთი სამხედროების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია და ამას ახლაც ვიმეორებ. ეს ჰუმანიტარული დრამაა უდიდესი გეოპოლიტიკური ეფექტებით, ამიტომ ამ გარემოებაში გერმანია აღარ მიაწვდის თურქეთს შეიარაღებას“, — განაცხადა ანგელა მერკელმა.

ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲔᲠᲓᲝᲦᲐᲜᲡ:

ᲜᲣ ᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲣᲮᲔᲨᲘ, ᲜᲣ ᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲡᲣᲚᲔᲚᲘ...

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი 9 ოქტომბერს რეჯეფ თაიპ ერდოღანისადმი მიწერილ წერილში თურქეთს სირიაში სამხედრო ოპერაციის შესაძლო შედეგებზე აფრთხილებდა.

„ნუ იქნები უხეში, ნუ იქნები სულელი,“ — წერდა დონალდ ტრამპი ერდოღანს. 9 ოქტომბრით დათარიღებული წერილი თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა. წერილში აშშ-ის პრეზიდენტი ცდილობდა, გადაერწმუნებინა რეჯეფ თაიპ ერდოღანი სირიაში შეჭრისგან. ოპერაციის დაწყების გეგმის შესახებ ერდოღანმა დონალდ ტრამპს 6 ოქტომბრის სატელეფონო საუბრის დროს უთხრა.

„მოდი, გამოვიმუშავოთ კარგი შეთანხმება! თქვენ არ გსურთ, იყოთ პასუხისმგებელი ათასობით ადამიანის განადგურებაზე და მეც არ მსურს, ვიყო პასუხისმგებელი თურქეთის ეკონომიკის განადგურებაზე, თუმცა მე ვიქნები! მე უკვე გაჩვენე მცირე მაგალითი, როგორც ეს პასტორ ბრენსონის შემთხვევაში მოხდა“, — წერს ტრამპი წერილში. გზავნილში აშშ-ის პრეზიდენტი ასევე ეუბნება ერდოღანს, რომ ქურთთა დაჯგუფების „სირიის დემოკრატიული ძალების“ მეთაური გენერალი მაზლუმ ქობანი აბდი მზად არის მოლაპარაკებებისთვის და გარკვეული დათმობისთვის.

„ისტორია მოწყალე იქნება შენს მიმართ, თუ ამას სწორად და ჰუმანურად გააკეთებ. მისთვის შენ მუდმივად დარჩები ეშმაკად, თუ კარგი ამბები არ მოხდება. ნუ იქნები უხეში, ნუ იქნები სულელი!“ — მიმართავს დონალდ ტრაპი ერდოღანს. აშშ-ის ხელისუფლების მტკიცებით, ვაშინგტონს თურქეთისთვის სირიაში ოპერაციის დასაწყებად „მწვანე შუქი“ არ აუნთია.

ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲛᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲒᲕᲔᲖᲔ ᲛᲝᲘᲡᲠᲝᲚᲔᲡ

ᲩᲕᲔᲜ მისი წერილი სანაგვეზე მოვისროლეთ, — ასე უპასუხეს თურქმა მაღალჩინოსნებმა დონალდ ტრამპის მიერ ერდოღანისთვის მიწერილ წერილს. ინფორმაციას ლონდონში დაფუძნებული საინფორმაციო სააგენტო „ახლო აღმოსავლეთის თვალი“ ავრცელებს. საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, თურქმა მაღალჩინოსნებმა გამოცემასთან საუბარში ვინაობის გასაჯაროვებაზე უარი თქვეს.

„წერილის მიწერის თარიღი 9 ოქტომბერია, ზუსტად ის დღე, როდესაც ოპერაცია დავიწყეთ. ჩვენმა პრეზიდენტმა 04:00 საათზე ოპერაციის დაწყებით საუკეთესო პასუხი გასცა“, — განაცხადა ერთ-ერთმა თურქმა მაღალჩინოსანმა. აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპმა 9 ოქტომბერს რეჯეფ თაიპ ერდოღანს წერილი მისწერა, სადაც თურქეთს სირიაში სამხედრო ოპერაციის შესაძლო შედეგებზე აფრთხილებდა.

ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲘ ᲐᲜ�გᲔᲚᲝᲖᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ თურქეთის შეჭრა ჩვენი პრობლემა არაა, ქურთები კი ანგელოზები არ არიან, — ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იტალიელ კოლეგა სერჯიო მატარელასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„ჩვენი ჯარისკაცები სირიას ტოვებენ, მათ საფრთხე აღარ ემუქრება. ჩვენ ვაკვირდებით სიტუაციას და მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ვცდილობთ, თურქეთი სწორ გზაზე დავაყენოთ, ვინაიდან ნებისმიერი ომის შეჩერება გვსურს. ქურთები ანგელოზები არ არიან. „ქურთისტანის მუშათა პარტია“ შესაძლოა „ისლამურ სახელმწიფოზე“ უფრო საშიში ტერორისტული დაჯგუფებაა“, — განაცხადა ტრამპმა.

სამხედრო მოქმედებების მსვლელობისას ათობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. თურქეთის შეიარაღებული ძალების ცნობით, ოპერაციის დაწყებიდან 653 ქურთი მებრძოლია ნეიტრალიზებული. თავის მხრივ, ქურთების ინფორმაციით, 75 თურქი ჯარისკაცი მოკლულია, კიდევ 19 კი დაიჭრა. გაეროს ინფორმაციით, საკუთარი სახლების დატოვება, სულ ცოტა, 160 000 ადამიანს მოუწია. მომხდარის გამო, თურქეთში შეიარაღების ექსპორტი გერმანიამ, საფრანგეთმა, ესპანეთმა და დიდმა ბრიტანეთმა შეზღუდეს, ვაშინგტონმა კი ანკარას სანქციები დაუწესა.

DER SPIEGEL:

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ

„ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲡ გაჰყავთ თავიანთი ჯარები სირიიდან, ამით კი გზას უხსნიან რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს. ამიერიდან რუსეთს, ბოლო ზესახელმწიფოს რეგიონში, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეუძლია გაკეთოს ყველაფერი, რასაც საჭიროდ ჩათვლის.7 ოქტომბერს პუტინს 67 წელი შეუსრულდა და სწორედ მის დაბადების დღეს დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ამერიკა მიდის სირიიდან და თან წაიყოლებს საკუთარ ჯარისკაცებს. რუსეთის პრეზიდენტისთვის ეს იყო საუკეთესო საჩუქარი — 7 ოქტომბრიდან რუსეთი დარჩა ერთადერთი ზესახელმწიფო სირიაში, რომელიც იქ მიმდინარე პროცესებზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს.

დასავლეთი დანებდა — ევროპა უკვე მრავალი წელია, უმწეოდ ადევნებს თვალს სისხლისღვრას სირიაში, ახლა კი — ამერიკელებიც წავიდნენ. ეს არის რუსული საგარეო პოლიტიკის ნამდვილი ტრიუმფი — პოლიტიკის, რომლის მთავარი პრინციპი არის ამ დაუსრულებელ კონფლიქტში ყველა მხარესთან ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნება.

მოსკოვი ყოველთვის ცდილობდა ომში მონაწილე ყველა მხარესთან დაბალანსებული ურთიერთობების შენარჩუნებას — შიიტებთან, სუნიტებთან, თურქებთან, ქურთებთან, ისრაელთან, სირიასთან, სპარსეთთან და არაბებთან. ეს პოლიტიკა აღმოჩნდა გამართლებული და ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ამ დღეებში, როდესაც თურქეთმა სირიელი ქურთების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო.შემთხვევითი არ იყოს ისიც, რომ შეტევის დაწყებამდე თურქეთის პრეზიდენტმა ჯერ შეატყობინა ამის თაობაზე პირადად პუტინს და ოფიციალურად მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადა.

— რა შეიცვლება მოსკოვისთვის შექმნილ სიტუაციაში?

— კრემლის ისედაც დიდი გავლენა რეგიონში კიდევ უფრო გაიზრდება. შტატებმა გაჭირვებაში მიატოვეს ქურთი მოკავშირეები და ამით აჩვენეს, რომ მათი ნდობა არ შეიძლება, მოსკოვი კი თავიდან არაფერს დაჰპირებია ქურთებს, შესაბამისად, მათ არც წყენის მიზეზი აქვთ. რუსეთის დიდი გამარჯვებაა, რომ ქურთები იძულებულები გახდნენ, დაემორჩილონ დამასკოელ დიქტატორ ბაშარ ასადს, ეს აძლიერებს რეჟიმს და ძალიან მომგებიანია პუტინისთვის.

„რუსეთის მთავარი ამოცანაა ასადის რეჟიმის გაძლიერება. ამ მხრივ, ქურთები, რომლებიც იმყოფებოდნენ ვაშინგტონის დაცვის ქვეშ, წარმოადგენდნენ სერიოზულ პრობლემას. დღეს კი ისინი იძულებულები არიან, თვითონ ითხოვონ დახმარება დამასკოსგან. ეს პუტინის ძალიან დიდი გამარჯვებაა“, — ამბობს რუსი პოლიტოლოგი **ფიოდორ ლუკიანოვი.**

რუსეთს არაფერი აქვს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სირიაში ბუფერული ზონის საწინააღმდეგო — სწორედ ამ ზონის შესაქმნელად შეიჭრა თურქეთი ქურთების მიერ დასახლებულ საზღვრისპირა რეგიონებში. კრემლი ყოველთვის აღიარებდა, რომ თურქეთს აქვს სამხრეთ საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესიც და უფლებაც. ეს კი კრემლის მხრიდან არის გარკვეული დაზღვევა იმ შემთხვევისთვის, თუ ანკარა უსაყვედურებს, რომ მოსკოვი თავისი შეიარაღებული ძალებით ერევა თურქეთის გავლენის სფეროში.

თუმცა, კრემლი მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნება ბუფერული ზონის გადაცემა ასადისთვის — ეს რეგიონი არ უნდა იყოს ოკუპირებული თურქეთის მიერ და ბოლო სიტყვა უნდა ეკუთვნოდეს ოფიციალურ დამასკოს.

ამ შემთხვევაში საუბარია სირიის სუვერენიტეტის პატივისცემაზე, რაზეც ყოველთვის ლაპარაკობს პუტინი. თუმცა, სავარაუდოდ, თურქეთი ასეთ ვარიანტს არ დათანხმდება, რადგანაც სწორედ ამ ბუფერულ ზონაში იგეგმება თურქეთში მცხოვრები 3 მლნ. სირიელი ლტოლვილის ჩასახლება, მათთვის კი ასადის რეჟიმი მიუღებელია. სირიელ დიქტატორს მტრად მიიჩნევს ანკარაც და, სავარაუდოდ, მას ომით მოპოვებულ ტერიტორიას არ ჩააბარებს.

პუტინი ასევე იქნება ძალიან ბედნიერი, თუ თურქეთი წაეჩხუბება თავის ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებს — მისთვის ეს იქნება ნატოს დასუსტების კიდევ ერთი საშუალება.

იმის მიუხედავად, რომ ამერიკამ თურქეთს გზა იმით გაუხსნა, რომ გაიყვანა ჯარები ქურთული ტერიტორიებიდან, ეს იყო იძულებითი და ძალიან მტკივნეული გადაწყვეტილება, შესაბამისად, არავითარ დაახლოებაზე ანკარას და ვაშინგტონს შორის (რისიც ასე ეშინია მოსკოვს), საუბარი არ მიდის. **„ტრამპი ისევ ემუქრება თურქეთს და, სავარაუდოდ, ერდოღანი შეეცდება პუტინთან ურთიერთგაგების შენარჩუნებას. ფაქტობრივად, სწორედ მოსკოვმა გაუხსნა ხელ-ფეხი ერდოღანს სირიაში შეტევისთვის“,** — მიიჩნევს რუსი ექსპერტი კირილ სემიონოვი.

„სწორედ მოსკოვმა უზრუნველყო სიტუაციის ნორმალიზება იდლიბის პროვინციაში, ერთადერთ რეგიონში სირიის, რომელსაც ოპოზიცია მთლიანად კონტროლირებადი. ასადის ძალები რუსული ავიაციის მხარდაჭერით უტევდნენ შეიარაღებულ ოპოზიციას, რომელიც დიდწილად კონტროლდება თურქეთის მიერ“, — ამბობს ექსპერტი. მისი თქმით, ნებისმიერი გართულება იდლიბში, სადაც 3 მლნ. ადამიანი ცხოვრობს, თურქეთისთვის ლტოლვილების ახალ ნაკადს და დამატებით პრობლემებს ნიშნავს.

შეტევა სექტემბერში შეჩერდა **„ერდოღანის და პუტინის შეხვედრის შემდეგ, იდლიბზე, შეტაკებები დღესაც გრძელდება, ოღონდ ნაკლები სიმწვავით. სწორედ ამან მისცა ანკარას სირიულ ქურთისტანში შეჭრის საშუალება“,** — თვლის სემიონოვი.

ამასობაში პუტინი ვიზიტით ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრა. ის ესტუმრა საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადს და მეფე სალმანს საჩუქარად მონადირე-შევარდენი ჩამოუყვანა რუსეთის შორეული რეგიონიდან — კამჩატკიდან.

დახვედრა, რომელიც მას იქ მოუწყვეს, ნათლად აჩვენებს, რომ ახლო აღმოსავლეთში დღეს სწორედ პუტინია მთავარი მოთამაშე.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲒᲚᲝᲗᲘᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ

ᲡᲥᲘᲖᲛᲐᲢᲣᲠᲘ, თვითგამოცხადებული ჯგუფების ავტოკეფალიის აღიარება სხვა მართლმადიდებლური ეკლესიების მიერ, დააზარალებს მართლმადიდებლურ ერთობას — აცხადებს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი.

მოსკოვის პატრიარქმა ეს განცხადება რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომის დასაწყისში გააკეთა, სადაც სინოდის წევრები ელადის ეკლესიის მიერ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაზე მსჯელობენ.

შეგახსენებთ, გასულ კვირას, საბერძნეთის (ელადის) მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღიარა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია.

ელადის ეკლესია პირველია (კონსტანტინოპოლის შემდეგ) მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის, რომელმაც ევქარისტიული კავშირი დაამყარა უკრაინის ახლადდაფუძნებულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან.

უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობასთან დაკავშირებით, საქართველოს ეკლესია კვლავინდებურად დუმს.

შეგახსენებთ, 15 დეკემბერს, კიევში, წმინდა სოფიას ტაძარში, უკრაინის ეკლესიების გამაერთიანებელ კრებაზე უკრაინული ეკლესიის მწყემსმთავრად, 39 წლის მიტროპოლიტი ეპიფანე აირჩიეს.

6 იანვარს კი უკრაინის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მსოფლიო საპატრიარქოსგან მიიღო ავტოკეფალიის ტომოსი.

მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან უკრაინის ავტოკეფალიის ტომოსის დამტკიცების საპასუხოდ, რუსეთის ეკლესიამ კონსტანტონოპოლთან ევქარისტიული ერთობა გაწყვიტა.

ლითონის დაშლილი საფეხმავლო ხიდები არ აღდგება!

თბილისის მერია, კონტრაქტორი კომპანიის მეშვეობით, ახორციელებს ლითონის საფეხმავლო ხიდების დემონტაჟს. სულ დაგეგმილია 19 ხიდის დემონტაჟი, ამ დროისთვის კი დაშლილი და დასაწყობებულია 9 ხიდი. წელსვე დასრულდება დარჩენილი 10 ხიდის დემონტაჟი.

დაშლილი ხიდები დასაწყობებულია თბილისის მერიის საწყობში. მათი აღდგენა არ იგეგმება. მომავალში, საჭიროების დადგომის შემთხვევაში, თბილისის ქუჩებში მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე ტიპის გადასასვლელი ხიდები გაკეთდება.

რეგიონული ჰოსპიტალი კავკასიის მედიცინის ცენტრი გახდა

ამიერკავკასიაში ყველაზე მძლავრი სამედიცინო ცენტრი, რეგიონული ჰოსპიტალი ახალი ბრენდით და სახელით, კავკასიის მედიცინის ცენტრით განაგრძობს ფუნქციონირებას. პ. ქავთარაძის №23-ში მდებარე ქვეყნის უმსხვილესი კლინიკის რებრენდინგი მის მყარ ისტორიულ გამოცდილებასა და ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის განვითარების მაღალ პოტენციალს უკავშირდება.

კავკასიის მედიცინის ცენტრის უახლესი სამედიცინო აპარატურა, ინოვაციური, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდოლოგიები, დიდი გამოცდილების მძლავრი კლინიკური გუნდი ჰოსპიტალს სამედიცინო ტურიზმის ჰაბად ქმნის რეგიონში. სამედიცინო ცენტრის გახსნიდან ერთი წელია გასული და ის საქართველოში პირველ ადგილზეა მიღებული პაციენტების რაოდენობით. ჰოსპიტალური მიმართულების ამუშავების შემდეგ ასევე გაიზარდა უცხოეთიდან შემოსული პაციენტების რაოდენობა. მიმდინარე წელს ჰოსპიტალი 883 სამედიცინო ტურისტს მოემსახურა.

ახალი ტაქსები თბილისის აეროპორტში

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრებს კომპანია **Bene Exclusive**-ის ტაქსები მოემსახურებიან. კომპანია, აეროპორტიდან მგზავრთა გადაყვანას ახალი ჰიბრიდული და ელექტრომანქანებით უზრუნველყოფს. მგზავრობის ტარიფი ქალაქის სხვადასხვა უბნების მიხედვით 30-დან 40 ლარამდე იქნება. აეროპორტში უკვე განთავსდა კომპანიის ოფისი, სადაც მგზავრები შეძლებენ წინასწარ შეიძინონ მგზავრობის ბილეთი და შეარჩიონ სასურველი მარშრუტი, ეს ინფორმაცია კი მძღოლს ავტომატურად გადაეცემა ავტომობილში სპეციალურად დამონტაჟებულ ეკრანებზე, გარდა ამისა ტრანსპორტში განთავსებულია ტაქსომეტრები, რაც სერვისის საფასურს განსაზღვრავს იმ შემთხვევაში, თუკი მგზავრი თბილისს გარეთ მიემგზავრება.

დანართი №1 (4 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2019 წლის „17 ოქტომბრის“
№ 01-01-3/348 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება დამატებითი სალიცენზიო პირობებით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ზე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაჭახლისპირი	დასაწყობებული ინერტული მასალა (ტექნოგენური დანაგროვები)	P_2	3 წელი	240 555 $მ^3$	183 080	55 200
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაჭახლისპირი	დასაწყობებული ინერტული მასალა (ტექნოგენური დანაგროვები)	P_2	3 წელი	114 926 $მ^3$	87 470	26 200
3	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაჭახლისპირი	დასაწყობებული ინერტული მასალა (ტექნოგენური დანაგროვები)	P_2	3 წელი	269 772 $მ^3$	205 320	61 200
4	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ერგე	დასაწყობებული ინერტული მასალა (ტექნოგენური დანაგროვები)	P_2	3 წელი	70 298 $მ^3$	53 505	16 200

დამატებითი სალიცენზიო პირობები:	ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემიდან 2 (ორი) წლის ვადაში არ გაასხვისოს მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის 50% და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოს მისი გადაცემა განსაზღვრული ფასის (ლიცენზიის მფლობელის მიერ გადახდილი საუქციონო ფასის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის განსაზღვრული მოსაკრებლისა და რესურსის მოპოვებისათვის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადასტურებული საჭირო თანხის ჯამი) შესაბამისად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ განსაკუთრებული მნიშვნელობის საგზაო და ნაპირდაცვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ შორის ბათუმის შემოვლითი გზის მიმდინარე პროექტს.
	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწვრივ დასაწყობებული ინერტული მასალის (ტექნოგენური დანაგროვების);

„რუსთავი-2“, ვითარცა სათამაშო ყუთი, გაგვაგებინეთ, ვისია?!

ძიბარ ხალვაშმა რითაც მოიგო, იმით წააგებს, — ამის შესახებ განცხადება „რუსთავი-2“-ის დამფუძნებლების — დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის ადვოკატმა კახა კოჟორიძემ განაცხადა, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოში ტელეკომპანიის 60-პროცენტიანი წილის დაბრუნების მოთხოვნით გუშინ სამოქალაქო სარჩელი შეიტანა.

კოჟორიძემ პრესკონფერენცია ჯარჯი აქიმიძესთან დავით დვალთან და სისხლის სამართლის მიმართულებით მათ ადვოკატთან სოსო ბარათაშვილთან ერთად გამართა. კახა კოჟორიძის განმარტებით, სამოქალაქო სარჩელით მოთხოვნილია 60-პროცენტიანი წილის დაყადაღება, როგორც სადავო ქონებისა.

რაც შეეხება მოლოდინებს, კახა კოჟორიძის თქმით, სამართლებრივ ბრძოლაში გამოიყენებენ იმ სამართლებრივ არგუმენტებს, რაც ქიბარ ხალვაშის სარჩელის დაკმაყოფილების დროს გამოიყენა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ.

„ასევე ვამატებთ სხვა მრავალ გარემოებას, მტკიცებულებასა და არგუმენტს. ყველა სამართლებრივ საკითხზე, რაც შეიძლება დაისვას ჩვენს სარჩელთან დაკავშირებით. პასუხები უკვე წერია დიდი პალატის გადაწყვეტილებაში. სწორედ ამიტომ, ჩვენი სარჩელის სამართლებრივი დასაბუთების მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ გვაქვს გადმოკოპირებული დიდი პალატის გადაწყვეტილებიდან. ეს არის შემთხვევა, როდესაც ქიბარ ხალვაშის ყველა არგუმენტი მისსავე საწინააღმდეგოდ იქნებ გამოყენებული. თუმცა, გარდა ხალვაშის სარჩელის მსგავსი არგუმენტებისა, ჩვენ გვაქვს დამატებითი ფაქტები და არგუმენტები, რაც ჩვენს სარჩელს დამატებით იურიდიულ ძალას სძენს“, — განაცხადა კოჟორიძემ.

კახა კოჟორიძის თქმით, მოსამართლეს, რომელიც მის სარჩელს განიხილავს, ექნება ორი არჩევანი — ან სარჩელი დააკმაყოფილოს, ან სასამართლომ უნდა უარყოს ამავე საქმეზე უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისა და სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მისი განმარტებით, 2004 წლიდან „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებს იძულებით დაათმობინეს ტელეკომპანია და 60-პროცენტიანი წილი გაიყიდა პაატა კარსანიძეზე, იმავე დღეს კი ეს წილი

სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;
	დ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა), ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმას. ე) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა. ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება; ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით; თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის; ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა; კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები; ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ"
	ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები,
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 18 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 19 ნოემბერს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 19 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 19 ნოემბერს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

კარსანიძემ „ხელისუფლებასთან დაახლოებულ ქიბარ ხალვაშს მიჰყიდა".

„ჩვენს სარჩელს დამატებით აძლიერებს მოპასუხე ქიბარ ხალვაშის ფაქტობრივი აღიარება აქიმიძესა და დვალზე განხორციელებულ იძულებაში მონაწილეობის კუთხით. 2014 წელს გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ხალვაში განმარტავს, რომ 2004 წელს „რუსთავი-2"-ის შესყიდვის მიზნით, ერთი მილიონ 200 ათასი დოლარი გადასცა ირაკლი ოქრუაშვილს, ხოლო ოთხი მილიონი დოლარი პირადად ივანე მერაბიშვილს. ცხადია, ჩნდება კითხვა, თუ ხალვაში კეთილსინდისიერად ყიდულობდა 60 პროცენტ წილს მოსარჩელეებისგან, მაშინ მისივე განცხადების თანახმად, რატომ უხდიდა მილიონობით დოლარს მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს?!

ჯარჯი აქიმიძემ მედიას ამ პროცესით დაინტერესება სთხოვა და გამოთქვა მზადყოფნა, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას და დიპლომატიურ კორპუსს მიაწოდონ მათი სარჩელის და სამართლებრივი დავების შესახებ ინფორმაცია.

„სასამართლოში სარჩელის შეტანით იმედს გამოვთქვამთ, რომ სამართლიანი გარემო გვექნება. მივმართავთ ყველა მედიასაშუალებას მხარდაჭერის თხოვნით, ასევე სამოქალაქო საზოგადოებას და დიპლომატიურ კორპუსს, დაინტერესდნენ ამ საქმით. „რუსთავი 2"-ის მიმართ სამართლიანობა აღდგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის დაუბრუნდება დამფუძნებელს", — განაცხადა ჯარჯი აქიმიძემ.

კრიმინალი

მსხვილი ნარკორეალიზატორები დააკავეს



ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისში, ფონიჭალის დასახლებასა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში ერთდროულად ჩატარებული ფართომასშტაბიანი ღონისძიების შედეგად, ხუთი ნარკორეალიზატორი დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან: 1983 წელს დაბადებული დ.მ., 1981 წელს დაბადებული ა.ე., 1978 წელს დაბადებული ფ.თ., 1981 წელს დაბადებული გ.ა., 1982 წელს დაბადებული ა.ი. მათ ბრალი ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებაში ედებათ.

„სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. პოლიციამ დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას 11 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი" და 20 ათას 970 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღო.

მიმდინარე წელს სამართალდამცველების მიერ ამოღებულია 26,2 კილოგრამი „ჰეროინი", 2 კილოგრამი „კოკაინი", 13700 აბი „სუბუტექსი" და „სუბოქსინი", 23,1 კილოგრამი „მდმა" 9,8 კილოგრამი ფსიქოაქტიური ნივთიერება და 1 კილო და 600 გრამი ფსიქოტროპული პრეპარატები. მისივე თქმით, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციის ბრალდებით სულ დაკავებულია 113 პირი.

ბოლნისში მამაკაცმა მეუღლე მოკლა

ბოლნისის სოფელ ტალავერში მამაკაცმა მეუღლე მოკლა. წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცი დაკავებულია.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, გამოძიება მიმდინარეობს ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე.

...ისევ ბავშვთა პორნოგრაფია

საბავშვო პორნოგრაფიის ბაზრის ერთ-ერთ უდიდეს დარქვებთან დაკავშირებით მსოფლიოს 38 ქვეყანაში 300-ზე მეტი ადამიანი დააკავეს.

ვებგვერდზე ბავშვთა პორნოგრაფიის 200 000-ზე მეტი ვიდეო იყო განთავსებული, რომელიც ჯამში მილიონზე მეტჯერ არის ჩამოტვირთული. ვებგვერდი გასულ წელს დიდი ბრიტანეთის მიერ დაწყებული გამოძიების ფარგლებში აღმოაჩინეს და დახურეს, თუმცა ოთხშაბათს ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ გამოძიების შედეგად 337 დამნაშავე გამოავლინეს. ვებგვერდის მფლობელი 23 წლის სამხრეთკორეელი ჯონგ ვუ სანია, რომელიც მოცემულ მომენტში აშშ-ის ციხეშია.

საქმესთან დაკავშირებით დამნაშავეები დააკავეს დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, ამერიკაში, სამხრეთ კორეაში, გერმანიაში, ესპანეთში, საუდის არაბეთში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ჩეხეთში, კანადაში და სხვა. ვებგვერდის სახელწოდება **Welcome to Video** იყო და 8 ტერაბაიტის კონტენტს მოიცავდა, მათ შორის იყო ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობის ამსახველი ვიდეოები.

დარქვების არსებობის შესახებ ცნობილი გახდა დიდ ბრიტანეთში პედოფილ მეთი უფალდერის საქმის გამოძიებიდან გამომდინარე, რომელსაც 25-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

საფეხბურთო მოზაიკა

თბილისის „დინამოს“ ახალი ტექნიკური სპონსორი ჰყავს — Puma. გერმანულმა კომპანიამ ასევე გერმანული Adidas-ი ჩაანაცვლა, რომელიც დედაქალაქურ კლუბს აქამდე მოსავდა.

Puma-ს ახალი მაისურებით „დინამო“ 2020 წლიდან ითამაშებს და გარდა მთავარისა, გერმანული ბრენდი აკადემიაში არსებულ ასაკობრივ გუნდებსაც შემოსავს. მხარეებს შორის სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

„დინამო არენაზე“ ახალი მაისურები „დინამოს“ გენერალურმა დირექტორმა ზაზა დოლიძემ, ფეხბურთელებმა ლევან მჭედლიძემ და გიორგი პაპავამ წარადგინეს. პრეს-კონფერენციას ასევე ესწრებოდნენ Puma-ს წარმომადგენლები ალექსანდერ ლოები და ფლორის ფროიდენტალი.

აქვე გეტყვით, რომ „დინამოს“ ახალი პროდუქცია ხელმისაწვდომი კლუბის ოფიციალურ მაღაზიებში იქნება.

* * *

„ბარსელონას“ მთავარვარსკვლავმა, ლიონელ მესიმ მეექვსედ მოიპოვა „ოქროს ბუცი“ - პრიზი, რომელიც უეფას წევრი ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირს გადაეცემა.

გასულ სეზონში 32 წლის არგენტინელმა პრიმერას 34 მატჩში 36 ბურთი გაიტანა. ადრე მას ეს პრიზი ხუთჯერ მოუგია — 2009-10 (34 გოლი), 2011-12 (50), 2012-13 (46), 2016-17 (37) და 2017-18 (34) წლებში.

* * *

„ბარსელონასა“ და მადრიდის „რეალის“ შეხვედრა, შესაძლოა, „კამპ ნოუს“ ნაცვლად „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართოს.

მატჩი 26 ოქტომბერს კატალონიაში უნდა ჩატარდეს, მაგრამ ბარსელონაში მიმდინარე საპროტესტო აქციების გამო ლა ლიგა სავარაუდოდ გადაწყვეტილებას შეცვლის.

As-ის ინფორმაციით, ლა ლიგამ ორივე გუნდს შესთავაზა, რომ 26 ოქტომბერს დაპირისპირება შესაძლო გართულებებისა და დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შედგეს, ხოლო 1 მარტს — „კამპ ნოუზე“. მარტივად რომ ვთქვათ, მეტოქეები უბრალოდ გაცვლიან მასპინძლის სტატუსს.

ახლა ორივე გუნდმა უნდა მოილაპარაკოს ლა ლიგის სპეციალურ კომიტეტთან ერთად და ამის შემდეგ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

* * *

„ლივერპულის“ მცველი ტრენტ ალექსანდერ-არნოლდი გინესის წიგნში შევიდა.

ინგლისელმა ფეხბურთელმა ეს პატივი გასულ სეზონში პრემიერლიგაში 29 თამაშში შესრულებული 12 საგოლე პასით დაიმსახურა, რაც მცველისთვის რეკორდია.

„ჩემთვის ეს დიდი პატივია. ყოველთვის მინდოდა გუნდის დახმარება და საგოლე მოგენტების შექმნა. რა თქმა უნდა, ჩემი პარტნიორები ვალდებულნი არიან პასის შემდეგ ბურთი გაიტანონ, რადგან ფეხბურთი გუნდური სპორტია. მათი და მწვრთნელის დახმარების გარეშე ამ რეკორდს ვერ დავამყარებდი. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის გინესის წიგნში მოხვედრა საამაყოა“, — თქვა ალექსანდერ-არნოლდმა.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელმა განაპირა მცველმა თანაგუნდელ ენდრიუ რობერტსონს ერთი შედეგიანი პასით აჯობა.

* * *

ბულგარეთის პოლიციამ ფეხბურთის ის 15 გულშემატკივარი ამოიცნო, რომლებიც ევრო 2020-ის შესარჩევი მატჩის მიმდინარეობისას ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს რასისტული ხასიათის შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ამ 15 პიროვნებიდან ექვსი უკვე დაკავებულია, სამი იძებნება, ხოლო დანარჩენების თაობაზე გამოძიება მიმდინარეობს.

„ჩვენ არ შევეგუებით ასეთ საქციელს“, — განაცხადა ბულგარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გიორგი გაჯიევმა, ხოლო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორისლავ მიხაილოვი თანამდებობიდან გადადგა.

შეგახსენებთ, რომ მატჩი, რომელიც ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიმართა, ინგლისელთა გამარჯვებით 6:0 დასრულდა.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

გორგაძე და გოგიჩაშვილი მსოფლიომ დააფასა!

მსოფლიო რაგბიმ მსოფლიო თასიდან გამოთიშული 12 ნაკრებიდან გამორჩეული მოთამაშეები შეარჩია და ტურნირის სიმბოლური ნაკრები შეადგინა.

ჯგუფში ჩარჩენილ სიმბოლურ ნაკრებში ორი ქართველი მოხვდა: ბექა გორგაძე რვა ნომრის პოზიციაზე ძირითადში, ხოლო გურამ გოგიჩაშვილს ადგილი მარქაფაში მიუჩინეს.



„ბექა გორგაძე მამუკა გორგოძის ღირსეული მემკვიდრეა. მან 149 მეტრით წინ წაიწია, ყველაზე მეტი, 38 ბოჭვა შეასრულა და ყველაზე მეტჯერ აართვა ბურთი მეტოქეს (5), ვიდრე მის პოზიციაზე მოთამაშე სხვა მორაგბემ“, — წერს მსოფლიო რაგბი.

სიმბოლური ნაკრები კი შემდეგნაირია:

1. ნაუელ ჩაპარო (არგენტინა) 2. ჯო ტაუფეტე (აშშ) 3. მაიკლ ალაალატოა (სამოა) 4. გვიდო პეტი (არგენტინა) 5. ჯონი გრეი (შოტლანდია) 6. ხუან გამინარა (ურუგვაი) 7. ჯეკ პოლედრი (იტალია) **8. ბექა გორგაძე (საქართველო)** 9. სანტიაგო არატა (ურუგვაი) 10. ფინ რასელი (შოტლანდია) 11. სემი რადრადრა (ფიჯი) 12. სიალე პიუტანუ (ტონგა) 13. ვაისეა ნაიათალევუ (ფიჯი) 14. მატია ბელინი (იტალია) 15. ტულუსა ვეაინუ (ტონგა)

მარქაფა: 16. ტორსტენ ვან იაარსველდი (ნამიბია) **17. გურამ გოგიჩაშვილი (საქართველო)** 18. კირილ გოტოვცევი (რუსეთი) 19. ანდრეი ვოსტრიკოვი (რუსეთი) 20. ლუკას რამბალი (კანადა) 21. რუბენ დე ჰაასი (აშშ) 22. ჰელარიუსი კისტინგი (ნამიბია) 23. ალაპატი ლეიუა (სამოა)

კობა კობახიძე

◎ 64

„ვირტუოზული ტექნიკის და გამორჩეული ანალიტიკური ნიჭის წყალობით ჰ. კარპარიანს ეტიუდებში ძალუძს განახორციელოს ყველაზე რთული ჩანაფიქრი“.

დიდოსტატი იური ავერბახი

თბილისმა დააკვალიანა

სტრატეგია - მცდარი კვალის გვერდის ავლა

ჰ. კასპარიანი
1961-1962



თეთრები იგებენ

1. ᲔᲓ6+ ᲓᲔ:ᲤᲒ2! 2.ᲔᲒ7 ᲒᲐ4 3.Ც7 ᲔᲪ4+ 4.ᲓᲔᲓ2!! Ე3+ 5.ᲓᲔᲓ3 Ე:Ც7 6.Ე:Ც7Ე2 7.ᲔᲑ6+ ᲓᲔ:Ფ1 8.ᲔᲪ8! Ე1Დ+ 9.ᲓᲔᲔ3 ᲓᲒ2 10.ᲓᲔᲓ2 ᲓᲤ4 11.ᲔᲔ3 ᲓᲒ2 12.ᲔᲐ6 X

ჰ. კასპარიანი
„შახმატი ᲗᲡᲡᲡᲠ“ 1937 წ.



ყაიმი

1. ᲓᲔᲓ7 Ჰ5 2.ᲓᲔᲪ7 Ჰ4 3.ᲓᲔᲑ6 Ჰ3 4.ᲓᲔᲐ5 Ჰ2 5.Ბ6Ჰ1Ლ 6.Ბ5Ლ:Ბ1 7.Ა4! 8.Ბ4 თეთრები აღწევენ მიზანს. სხვა ვარიანტები თქვენ გაარჩიეთ.

◎ სოციალური თანასწორობა

სტიპენდიას დაუნიშნავენ

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად გავიდა 2011 წლის 20 ივლისის 3284 დადგენილების ცვლილება, რომელიც პარალიმპიური თამაშების გამარჯვებულთა ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიის — 1000 ლარის დანიშვნას ითვალისწინებს.

ცვლილების თანახმად „ოლიმპიური ჩემპიონების, საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულების, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებისათვის ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №284 დადგენილებას დაემატა კატეგორია, რომელიც პარალიმპიურ ჩემპიონებს სახელმწიფო სტიპენდიას დაუწესებს.

პროექტის მიღების შემდეგ, ზემოაღნიშნული დადგენილებით მოსარგებლე ბენეფიციარებს დაემატებიან პარალიმპიური თამაშების გამარჯვებულები, რაც სახელმწიფოს მხრიდან უდიდესი მხარდაჭერის გამოხატულებაა ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ მათთვის დამატებითი სტიმულის მიცემის კუთხით პარალიმპიურ აქტივობებში ჩასართავად.

შალვა გოგოლაძე (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე): სახელმწიფო ხელს უწყობს პარალიმპური სპორტის განვითარებას, რაც პირდაპირ აისახება ჩვენი პარასპორტსმენების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე ნაჩვენებ შედეგებზე. ბოლო წლებში ჩვენმა პარასპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სპორტის არაერთ სახეობაში. 2016 წელს რიოს პარალიმპიურ თამაშებზე პარაძიუდოისტი ზვიად გოგოჭური ოქროს მედლის მფლობელი გახდა და ქართული პარასპორტის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა. ჩვენ წინ გვაქვს ტოკიოს ზაფხულის პარალიმპიური თამაშები და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მთავრობის ეს გადაწყვეტილება დამატებით ბიძგს მისცემს ჩვენი პარასპორტსმენების ტოკიოში წარმატებით გამოსვლას.

ვიტალი ჯაფარიძე

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გულჩორა მატკავას, იგორ მატკავას და მარინე მატკავას თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** გულჩორა მატკავა (პ/ნ 42001010815), იგორ მატკავა (პ/ნ 42001023554), მარინე მატკავა (პ/ნ 42001012376), ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №18, სართ. 3, ბინა №51.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №18, სართ. 3, ბინა №51 (საკადასტრო კოდი: 04.01.10.722.01.051).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15418.83 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 18 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 31 ოქტომბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP63064619;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 630646

6. **მოვალე:** ზიზი რიგვავა (პ/ნ 01033004292), ქ. ფოთი, ლიეპაიას ქ. 8, ბინა 50.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63064619; ლოტის ნომერი: 630646).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 31 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მახმად ჯალილოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მახმად ჯალილოვი (პ/ნ 36001020299), საგარეჯოს რ-ნი, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 I ჩიხი №3.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯოს რ-ნი, სოფელი ლამბალო (საკადასტრო კოდი: 55.21.52.246).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11029.20 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 18 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 31 ოქტომბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP63063119;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 630631

6. **მოვალე:** მახმად ჯალილოვი (პ/ნ 36001020299), საგარეჯოს რ-ნი, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 I ჩიხი №3;

რაფიკ ამირასლანოვი (პ/ნ 36001007400), საგარეჯოს რ-ნი, ს. ლამბალო, მე-18 ჩიხი №18;
ბაირამ ჯალილოვი (პ/ნ 36001029829), საგარეჯოს რ-ნი, ს. იორმუღანლო.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63063119; ლოტის ნომერი: 630631).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 31 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

გაზის მომხარებელთა საყურადღებოდ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ” ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების” შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლი სარჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი №1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2020 წლისთვის

ცხრილი №1

#	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ.ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ს გარეშე თეთრი/კუბ.მ.) ომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1	შპს „გაზ თრედინგ“	თბილისი, ატენის ქუჩა, კორპ.#3,ბ.#30	+995 595 110 222 gastrading2@gmail.com	180000 არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის	77,5-87,50

* - თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვა და სხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** - შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულება შედის, მხოლოდ ბუნებრივი გაზის ფასი და ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი).

ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19, +995 032 2 42 01 80

შპს „გაზ თრედინგ“
ს/კ@405168376
თბილისი, ატენის ქუჩა, კორპ. №3, ბინა№30
დირექტორი გია გოგოლაშვილი

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ბრენდები

მარკეტინგული კვლევების კომპანია **Interbrand**-მა მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ბრენდების რეიტინგი გამოაქვეყნა.

სიის ლიდერი კომპანია **Apple**-ია. ამერიკული ბრენდის ღირებულება 9%-ით გაიზარდა და თითქმის 234 მილიარდი დოლარი შეადგინა.

მეორე ადგილს **Google** იკავებს. ამ კომპანიის ღირებულება 8%-ით გაიზარდა და 167,6 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. მესამე ადგილს 125,3 მილიარდი დოლარით **Amazon**-ი იკავებს.

ათეულში ასევე მოხვდნენ **Microsoft**-ი, **Coca-Cola**, **Sumsung**-ი, **Toyota**, **Mercedes-Benz**-ი, **McDonald's**-ი და **Disney**.

Microsoft Coca-Cola

ნიკო დადიანის სასახლე საექსპოზიციოდ ეწყობა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ახლად რეაბილიტირებულ ნიკოსეულ სასახლეს საექსპოზიციოდ მოაწყობს.

აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად 70 000 ლარამდე ბიუჯეტია განსაზღვრული.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, დაგეგმილია სასახლის ვიტრინებითა და სხვა ტექნიკური ინვენტარით აღჭურვა და შერჩეული საექსპოზიციო მასალის გამოფენა.

ექსპოზიცია 2020 წლის გაზაფხულზე გაიხსნება.

ფონდ „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით, 2019 წელს დასრულდა სსიპ – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ნიკოსეული სასახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, შემდგომში დაგეგმილია ეკატერინეს სასახლის სრული რეაბილიტაციის პროცესის დაწყება.

ამასთან, დადიანების სასახლეში სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი – მათ შორის, რესტავრაცია გაუკეთდა მუზეუმში დაცულ ექსპონატებს, დაიბეჭდა მუზეუმის გზამკვლევი და ჩატარდა შენობების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„ვიტრუვიუსის ადამიანი“ ლუვრში



ლეონარდო და ვინჩის ცნობილი ნახატი „ვიტრუვიუსის ადამიანი“ პროტესტების მიუხედავად საფრანგეთში გამოიფინება. ინფორმაციას ამის შესახებ BBC ავრცელებს.

1490 წელს შესრულებული ნახატის ნახვა ლუვრში და ვინჩის გარდაცვალებიდან 500 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე იქნება შესაძლებელი.

თავდაპირველად იტალიის სასამართლომ ნახატის ქვეყნიდან გატანა აკრძალა მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია Italia Nostra-მ („ჩვენი იტალია“) განაცხადა, რომ ნახატი ტრანსპორტირებას ვერ გაუძლებდა. ამის შემდეგ სასამართლომ ექსპერტების დასკვნები გამოითხოვა და ვენეციის აკადემიის გალერეიდან ნახატის ტრანსპორტირების ნებართვა გასცა.

სექტემბერში იტალიის კულტურის სამინისტრო და ლუვრი შეთანხმდნენ, რომ და ვინჩის ნახატის სანაცვლოდ იტალიაში ლუვრში დაცული ცნობილი მხატვრის რაფაელის ნამუშევრები გამოიფინება.

აღმოჩენილია ქხმერების იმპერიის დროინდელი ქალაქი

კამბოჯას ტერიტორიაზე, პნომ-კულენის მთაზე არქეოლოგებმა ქხმერების იმპერიის დროინდელი ქალაქი მაჰენდრაპარვატა აღმოაჩინეს. 2012-2015 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგები ჟურნალში Antiquity პირველად ახლა გამოქვეყნდა.

სპეციალური ლაზერული სკანირების საშუალებით მკვლევარებმა ზუსტად დაადგინეს ნანგრევების ადგილმდებარეობა. მეცნიერებმა შექმნეს ქალაქის რუკა, რომელიც ქხმერების იმპერიის ცენტრს წარმოადგენდა. ნანგრევები მე-9 საუკუნით არის დათარიღებული.

აქამდე მეცნიერებმა მაჰენდრაპარვატას მიახლოებული ადგილმდებარეობა იცოდნენ, ლაზერული სკანირების საშუალებით კი მათ ათასობით აქამდე უცნობი ობიექტი აღმოაჩინეს. მათი განცხადებით, ქალაქი 50 კვადრატული კილომეტრის ფართობს იკავებდა.

სახიფათო პროფესიები

მეცნიერებმა იმ პროფესიების ნუსხა გამოაქვეყნეს, რომლებიც კიბოს განვითარების რისკს ზრდიან.

ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არის მანიკიურის ოსტატები და პარიკმახერები, რომლებსაც მომწამლავ ნივთიერებებთან ხშირი კონტაქტი აქვთ.

მეორე ადგილზე არიან IT-თანამშრომლები – მცირე ფიზიკური დატვირთვა ონკოლოგიურ სნეულებათა რისკს 20-90 პროცენტით ზრდის.

მესამე ადგილზე კი ავიაციის თანამშრომლები არიან – მზის რადიაცია კიბოს განვითარების ფაქტორია.

სიჯიუტის მაღლი

ჯიუტი ბავშვები ცხოვრებაში უფრო წარმატებულნი არიან.

700 ბავშვის გამოკვლევის შედეგად, რომელიც 40 წელი გრძელდებოდა, დადგინდა, რომ ცხოვრებაში წარმატებას უფრო მეტად ისინი აღწევენ, ვინც ბავშვობაში თვითნებობით გამოირჩეოდა, თავის ნებაზე იქცეოდა, უფროსებს ნაკლებად ემორჩილებოდა, თანაც ამ დროს მშვენივრად ჰქონდა შეგნებული თავისი თვითნებობის ცუდი შედეგები.

გულუბრყვილო ბავშვები კი კარიერულ სიმაღლეებს ვერ აღწევდნენ.

„გულითადობის“ ეპიდემია

მთქნარება ქალებზე უფრო იოლად გადადის. ფსიქოლოგებმა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენლების მთქნარებაზე რეაგირების თავისებურებები შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ მთქნარების ეპიდემია იმ ხალხის სოციალური და სულიერი სიახლოვის მაჩვენებელია, რომელიც სწრაფად გრძელდება მეგობრებსა და ნათესავებში. უფრო მეტი გულითადობით კი ქალები გამოირჩევიან, ამიტომაც ამ „ეპიდემიისკენ“ ისინი მამაკაცებზე უფრო მეტად არიან მიდრეკილნი.

ვისაც კოსმოსში გამგზავრება სურს

კოსმოსურმა კომპანია Virgin Galactic-მა და სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელმა Under Armour-მა კოსმოსში გამგზავრების მსურველი ტურისტებისთვის კოსტიუმი წარადგინეს.

ჩვენებაში ბრიტანელმა მილიარდერმა რიჩარდ ბრენსონმა მიიღო მონაწილეობა, რომელიც Virgin Galactic-ის დამაარსებელია.

კოსმოსური ტურისტის აღჭურვილობაში შედის მთავარი კოსტიუმი, სავარჯიშო კოსტიუმი, ასტრონავტის ქურთუკი და ფეხსაცმელი. ყველა ტანსაცმელი ინდივიდუალურად შეიკერება და მასზე იმ ქვეყნის დროშა იქნება გამოსახული, საიდანაც ტურისტია.

Virgin Galactic-ი კოსმოსში პირველ ტურისტულ ფრენას 2020 წელს გეგმავს. ტურისტები იქ 10 წუთს გაატარებენ, შემდეგ კი დედამიწაზე დაბრუნდებიან. ამ რეისზე ბილეთის ღირებულება 250 000 დოლარია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოჩულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9663; ევრო - 3.2721;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7788;
100 რუბლი - 4.6123; თურქული ლირა - 0.5028;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7446;
1000 სომხური დრამი - 6.2187.

ამინდი 18 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+26
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+26
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge